ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი გოგუაძე

ისლამური სახალიფოს მიერ საქართველოს მოქალაქეთა რადიკალიზაციისა და გადაბირების გზები

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნიკოლოზ სამხარაძე
ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის, *ისლამური სახალიფოს მიერ საქართველოს მოქალაქეთა რადიკალიზაციისა და გადაბირების გზების* მთავარი საკვლევი კითხვაა თუ რა გზებითა და ფორმებით შეძლო ისლამურმა სახალიფომ საქართველოს მოქალაქეების რადიკალიზაცია და გადაბირება. კვლევა მიზნად ისახავს კონკრეტული პარამეტრის და ფაქტორის გათვალისწინებით შეისწავლოს საქართველოს მოქალაქეების ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზეზები, მიზნები და ფორმები. ნაშრომისთვის, ასევე, რელევანტურ კითხვებს წარმოადგენს ის, თუ როგორ მოხდა ევროპის კონტინენტიდან მოქალაქეთა გადაბირება და რადიკალიზაცია. კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბდა **ჰიპოთეტური პასუხი** კითხვაზე, რომ საქართველოს მოქალაქეთა გადაბირებისა და რადიკალიზაციის პროცესში იდეოლოგიური, რელიგიური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გარდა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ISIS-ის მიერ წარმოებულმა პროპაგანდამ, მათ შორის სოციალური მედიის ეფექტურად გამოყენების გზით. წინამდებარე დოკუმენტი, საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის, მკითხველს სთავაზობს კომუნიკაციების/პროპაგანდის თეორიის პერსპექტივას. ნაშრომში გამოყენებულია ჰაროლდ ლასველის კომუნიკაციების მოდელი. ლასველი ცდილობს ახსნას ის პროცესი, თუ როგორ და რა გზებით ახდენს გავლენას პროპაგანდა და დამუშავებული გზავნილი ადამიანზე. კვლევის ფარგლებში, ნაშრომი დაეფუძნა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. სამაგიდე სამუშაოსა და ლიტერატურის ფართო ანალიზის გარდა, კვლევის ფარგლებში ჩატარდა საველე სამუშაოებიც და სიღრმისეული ინტერვიუები საჯარო და სპეციალური დანიშნულების ინსტიტუტების წარმომადგენლებთან.

Annotation

The main research question of the thesis *Radicalization and Recruitment Ways of Georgian Citizens by Islamic Caliphate,* written by Giorgi Goguadze is how the Islamic State managed to radicalize and recruit the citizens of Georgia. The research aims to study, considering the specific parameter and factor, the causes, objectives and forms behind the fact of the citizens of Georgia joining the terrorist organization. How the European citizens were recruited and radicalized represents yet another relevant question for the thesis. A **hypothetical answer** to the research question has been formulated – it implies that apart from the ideological, religious, social and economic factors, the propaganda conducted by ISIS, including the efficient use of social media, played an important role in the process of recruitment and radicalization of the citizens of Georgia. The given thesis offers a communication/propaganda perspective with the aim of an in-depth analysis of the issue. The thesis employs Harold Lasswell's model of communication. Lasswell tries to explain how and through which channels the propaganda and processed messages affect people. During the research stage, the thesis was based on qualitative research method. Besides a desk research and a comprehensive literature analysis, activities on the field as well as in-depth interviews with public and special designation institution representatives have also been carried out.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომს ვუძღვნი დავით ჭოჭუას ხსოვნას. საერთაშორისო ურთიერთობებისა და ტერორიზმის კვლევის გამორჩეულ სპეციალისტს, ადამიანსა და ხელმძღვანელს, რომელმაც განსაზღვრა ჩემი კარიერული და აკადემიური ინტერესი.

სარჩევი

ანოტაცია 2
სარჩევი 5
შესავალი 6
ისლამური სახალიფოს ორგანიზაციული განვითარების ისტორია 13
ისლამური სახალიფოს მიერ წარმოებული პროპაგანდა 19
ლიტერატურის მიმოხილვა 24
საქართველოს მოქალაქეთა რადიკალიზაციისა და გადაბირების გზები 31
პროპაგანდის როლი ევროკავშირის მოქალაქეთა გადაბირების პროცესში 38
დასკვნა 40
ბიბლიოგრაფია 43

შესავალი

ისლამური სახალიფო (ISIS) თანამედროვე ეტაპზე ყველაზე ცნობილ და მასშტაბურ ტერორისტულ ორგანიზაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ. 2014 წლის ივნისიდან ის ოფიციალურად წარმოადგენს თანამედროვე სამყაროსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და კომპლექსურ საფრთხეს. ორგანიზაციის სიძლიერე და ცნობადობა დიდწილად განსაზღვრა ჯგუფის წევრთა გადაბირებისა და რადიკალიზაციის თვისობრივად ახალმა მეთოდოლოგიამ, ასევე იმ გამართულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ, რომლის მეშვეობითაც იერარქიულად სტრუქტურირებულმა ორგანიზაციამ შეძლო მსოფლიოს თითქმის ყველა წერტილში გაეჩინა თანამოაზრენი და მხარდამჭერნი (Kumar, 2015).

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, 2015 წელს ტერორიზმის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ისლამურმა სახალიფომ, დროის სხვადასხვა ეტაპზე მოახერხა საერთაშორისო მებრძოლებით საკუთარი რიგების შევსება. ათასობით ადამიანი ორგანიზაციას მსოფლიოს 100 ქვეყნიდან შეურთდა, მებრძოლების დიდი წილი ევროპისა და აფრიკის ქვეყნებზე მოდის (Bureau of Counterterrorism and Countering Violent Extremism, 2015).

სახალიფოს რიგებში, ასევე მოხვდნენ საქართველოს მოქალაქეებიც. ზუსტი რიცხვი არ არსებობს, თუმცა სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მათი რაოდენობა 200-მდე აღწევს (Bureau of Counterterrorism and Countering Violent Extremism, 2015). საქართველოს 27 მოქალაქე უკვე გარდაიცვალა სირიასა და ერაყში, მათ შორის აშშ-ს მიერ 2014 წელს 12 ყველაზე საშიშ და ძებნილ ტერორისტთა სიაში შეყვანილი თარხან ბათირაშვილი (ომარ ალ-შიშანი), რომელიც ISIS-ის ერთ-ერთი საველე მეთაური იყო (Crilly, 2016).

წინამდებარე კვლევის მთავარი საკვლევი კითხვაა თუ *რა გზებითა და ფორმებით შეძლო ისლამურმა სახალიფომ საქართველოს მოქალაქეების რადიკალიზაცია და გადაბირება.* აღნიშნული თემა შეიძლება მივიჩნიოთ **სიახლედ**, რადგან ის წარმოადგენს პირველ კომპლექსურ ნაშრომს, რომელიც ცდილობს კონკრეტული

პარამეტრისა და ფაქტორის გათვალისწინებით შეისწავლოს საქართველოს მოქალაქეების ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზეზები, მიზნები და ფორმები. ნაშრომისთვის, რელევანტურ კითხვებს, ასევე, წარმოადგენს ის, თუ როგორ მოხდა ევროპის კონტინენტიდან მოქალაქეთა გადაბირება და რადიკალიზაცია. დოკუმენტის ფარგლებში მნიშვნელოვანია საქართველოსთან ერთად, ევროპის ქვეყნების მოქალაქეების ისლამურ სახალიფოში გაწევერიანების მიზეზთა გაანალიზება და ერთმანეთთან შედარება. ასევე ის, თუ რა როლი ითამაშა თითოეულ შემთხვევაში, გადაწვყეტილების მიღების დროს, ორგანიზაციის მიერ წარმოებულმა პროპაგანდამ და იდეოლოგიამ.

კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბდა **ჰიპოთეტური პასუხი** კითხვაზე, *რომ საქართველოს მოქალაქეთა გადაბირებისა და რადიკალიზაციის პროცესში იდეოლოგიური, რელიგიური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გარდა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ISIS-ის მიერ წარმოებულმა პროპაგანდამ, მათ შორის სოციალური მედიის ეფექტურად გამოყენების გზით.* სხვადასხვა პლატფორმებისა (Facebook; Twitter) და საკომუნიკაციო არხების (What'up; Telegram) გამოყენებამ გაუადვილა ორგანიზაციას მარტივად გაევრცელებინა საკუთარი გზავნილი და ამასთანავე, დაეწყო თანამოაზრეთა რადიკალიზაციისა და გადაბირების პროცესი. ჰიპოთეზიდან გამომდინარე იკვეთება **დამოუკიდებელი ცვლადი** - ისლამური სახალიფოს მიერ წარმოებული პროპაგანდის მექანიზმები და **დამოკიდებული ცვლადი** - საქართველოს მოქალაქეთა რადიკალიზაცია და გადაბირება.

ტერორიზმის კვლევითი მიმართულება არც თუ ისე მდიდარია თეორიული ჩარჩოებით. ტერორიზმი დინამიური ფენომენია, დროსა და სივრცეში მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის და ერთი კონკრეტული მიდგომით მისი ახსნა ფაქტობრივად შეუძლებელია. გარდა ამისა, თეორიული სწავლებით გამდიდრებას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ მკვლევართა შორის ტერორიზმის საერთო დეფინიცია არ არსებობს. საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოებს შორისაც არ არის კონსესუსი ტერორიზმის არსთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ტერორიზმის

ირგვლივ აკადემიური წრე ყოველწლიურად იზრდება, მკვლევართა რაოდენობა სცდება სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებას. ახალ ინოვაციურ და კრიტიკულ მიდგომებსაც გაუჩნდა ამბიცია აღნიშნული ფენომენის შესწავლისა (Schmid A. , 2004).

წინამდებარე დოკუმენტი, საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის, მკითხველს სთავაზობს კომუნიკაციების/პროპაგანდის თეორიის პერსპექტივას. პროპაგანდის თეორიას მრავალი მკვლევარი თუ ინტელექტუალური ფუძემდებელი ჰყავს, მათ შორის ვოლტერ ლიპმანი, ვილიამ ჯეიმსი, ჰაროლდ ლასველი, ედვარდ ბერნი და ა.შ. ყველა მკვლევარის მთავარ კითხვას წარმოადგენდა, თუ როგორ შეიძლება ადამიანის საქციელის ცვლილება გამოიწვიო ეფექტურად დაგეგმილი და წარმოებული კომუნიკაციის გამოყენების გზით (Steinberg, 2007, pp. 52-53).

ნაშრომში გამოყენებულია ჰაროლდ ლასველის კომუნიკაციების მოდელი. პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი ჰაროლდ ლასველი პროპაგანდისა და კომუნიკაციების თეორიის კლასიკოსად მიიჩნევა (Steinberg, 2007, p. 51)1948 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში *საზოგადოებაში კომუნიკაციის ფორმები და სტრუქტურა-იდეების კომუნიკაციაში* ლასველი ცდილობს ახსნას ის პროცესი, თუ როგორ და რა გზებით ახდენს გავლენას გზავნილი ადამიანზე. ლასველის მოდელი გამოიყენება მასობრივი კომუნიკაციისა და პროპაგანდის ანალიზისათვის. მისი კომუნიკაციის მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება:



პირველი ელემენტი არის კომუნიკატორი, ვინც აყალიბებს და ფორმულირებას აძლევს გზავნილს. მეორე, არის გზავნილის შინაარსი. მესამე გზავნილის გამტარი არხი, ხოლო მეოთხე, სამიზნე აუდიტორია, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ინდივიდი, ასევე ჯგუფი ან მთლიანად საზოგადოება. ლასველის ჯაჭვში ყველაზე

მნიშვნელოვანი ეფექტის ელემენტია, რომელიც კომუნიკატორის მიერ გაჟღერებული გზავნილის პასუხად განსაზღვრავს მიმღების საქციელს (Steinberg, 2007, p. 53).

ლასველისათვის კომუნიკაციის მოდელი ერთხაზოვანი პროცესია, სადაც მთავარი და აქტიური როლი კომუნიკატორს აქვს. მიმღები, ამ შემთხვევაში, პასიური მოთამაშეა და მასზე ეფექტური გავლენის მოხდენის მიზნით, აუცილებელია მისთვის მნიშვნელოვან ემოციურ და პრაქტიკულ საკითხებზე გაკეთდეს აქცენტი. სამიზნე ობიექტის საქციელის ცვლილებისათვის, ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გზავნილის ფორმას თუ როგორ არის ინფორმაცია დამუშავებული და რა მეთოდებით მიეწოდება მას.

კვლევის ფარგლებში, ნაშრომი დაეფუძნა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. სამაგიდე სამუშაოსა და ლიტერატურის ფართო ანალიზის გარდა, კვლევის ფარგლებში ჩატარდა საველე სამუშაოებიც. ავტორმა ჩაატარა 4 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ პირველწყაროებთან პანკისის ხეობაში, იმ ადამიანების ოჯახის წევრებთან, ვინც დატოვა საქართველო და ჩაერთო ისლამური სახალიფოს რიგებში სირიასა თუ ერაყში. ორი ინტერვიეურის შვილი გარდაიცვალა სირიაში, ხოლო ორის ცოცხალია. კვლევის ფარგლებში რესპონდენტთა კონფიდენციალურობა დაცულია და ყველა სახის იდენტიფიცირებადი ინფორმაცია ამოღებულია ნაშრომიდან. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მებრძოლის მშობელი (რესპონდენტი) თავად წავიდა სირიაში თავისი შვილის ჩამოყვანის მიზნით და განვლო ყველა გზა, რაომელსაც გადიან მებრძოლები ისლამურ სახალიფოში მოსახვედრად. კვლევის დროს გამოყენებული კითხვარი შეთანხმდა ნაშრომის ხელმძღვანელთან. ინტერვიურების პროცესში, რესპონდენტთა თანხმობის პირობებში, მოხდა ინტერვიუს აუდიო ჩაწერა და ორიგინალი მასალა ინახება კვლევის ავტორთან. ინტერვიუები ჩატარდა ახმეტაში, დუისისა და ჯოყოლოს მკვიდრებთან. სხვადასხვა მიზეზის გამო, დაღუპულ პირთა ოჯახის წევრებმა არ ისურვეს თავიანთ სოფლებში ინტერვიუს გამართვა. მეტი გახსნილობისა და თავისუფალი ჩართულობისთვის, კახეთის რეგიონული

განვითარების ფონდმა შემოგვთავაზა საკუთარი ოფისი ინტერვიუების გასამართად. პირველწყაროებთან გასაუბრებამ, მოგვცა საშუალება, საკითხს სიღრმისეულად შევხებოდით.

დოკუმენტში, ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენების მიზანი იყო იმ სახის ინფორმაციის მიღება, რომელიც სხვა საშუალებებით (მაგალითად გამოკითხვის, სამაგიდე კვლევის) ვერ დაგროვდებოდა. სიღრმისეულმა ინტერვიუმ საშუალება მისცა მკვლევარსა და რესპონდენტებს თავისუფალ გარემოში ესაუბრათ საკვლევ თემაზე, მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთათვის ამ საკითხზე საუბარი ხშირ შემთხვევაში პირად ემოციებსა და ტრაგედიასთან იყო დაკავშირებული. ინტერვიუს მიგნებები კვლევის სხვადასხვა ნაწილში არის ასახული.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ გაიმართა ასევე, თავდაცვის ყოფილ მინისტრ, ქალბატონ თინა ხიდაშელთანაც. რესპონდენტის შერჩევა მოხდა გამიზნულად, ვინაიდან სწორედ თინა ხიდაშელი იყო ბოლო წლებში სახელმწიფო მინისტრებიდან ყველაზე აქტიური, ვინც სტუმრობდა ხეობას და გააჩნდა ინიციატივები რადიკალიზაციისა და გადაბირების საწინააღმდეგოდ ნაბიჯების გატარების მიმართულებით. ქალბატონ ხიდაშელთან ინტერვიუმ, ასევე შეგვიქმნა წარმოდგენა თუ როგორი დამოკიდებულება და მიდგომა აქვს სახელმწიფოს აღნიშნული საკითხისადმი.

ინტერვიუების დაგეგმვის პროცესში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭომ, რომელიც უსაფრთხოების მაკოორდინებელ ორგანოდ ითვლება, (საკანონმდებლო მაცნე, დადგენილება №38) გაურკვეველი მიზეზების გამო ჩაშალა დაგეგმილი და შეთანხმებული ინტერვიუ მკვლევართან. პირისპირ ინტერვიუ გაიმართა საქართველოს სპეციალური დანიშნულების სამსახურის წარმომადგენლებთან, რომელთაც არ ისურვეს დოკუმენტში საკუთარი თავის იდენტიფიცირება. ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილესთან, ბატონ ნიკოლოზ ჯანჯღავასთან.

კვლევის პროცესში, ავტორი შეხვდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, კერძოდ: კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის დირექტორს, იზა ბექაურს. ორგანიზაცია უკვე ათ წელზე მეტია, რაც მუშაობს პანკისის ხეობაში ადგილობრივი ახალგაზრდა ქისტების ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის გაზრდის მიმართულებით. ინტერვიუ ჩატარდა მაია ურუშაძესთანაც, კავკასიური სახლის მკვლევართან და პროგრამების ხელმძღვანელთან. კავკასიურმა სახლმა 2016 წელს გამოსცა პუბლიკაცია *ისლამი საქართველოში:პოლიტიკა და ინტეგრაცია* (სიხარულიძე, ურუშაძე, ხმალაძე, & ჭიჭინაძე, 2016) რომლის შემუშავების პროცესში მაია ურუშაძე აქტიურად იყო ჩართული როგორც მკვლევარი.

კვლევის ფარგლებში, ასევე გამოყენებულია დისკურს ანალიზი, რაც ტექსტობრივი მასალის დეტალურ ანალიზს გულისხმობს (სპეციალური ანგარიშები და ჩანაწერები), ასევე შედარებითი ანალიზის მეთოდი, როდესაც ხდება საქართველოს შემთხვევის შედარება ევროკავშირის მოქალაქეებთან. (რეხვიაშვილი, 2016)

ზემოთ აღნიშნული მეთოდები და ასევე ლიტერატურის ფართო მიმოხილვა, საკმარისი აღმოჩნდა კვლევის ფარგლებში სიღრმისეული მიგნებების გამოსატანად და ჰიპოთეტური მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

კვლევაში გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელოვანი ტერმინები:

ტერორიზმი-მისი კონკრეტული, ყველას მიერ გაზიარებული განმარტება არ არსებობს. ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს

> ,, ტერორიზმი არის ძალისა და სისასტიკის უკანონო არადისკრიმინაციული და განზრახ გამოყენება ადამიანებისა და მათი საკუთრების წინააღმდეგ, მთავრობის იძულებისათვის, საზოგადოების ან და მისი რომელიმე სეგმენტის დასაშინებლად და გამყარებულია პოლიტიკური ან სოციალური მიზნებით ''
>
> (Federal Bureau of Investigation, 2005)

ევროკავშირის მხრიდან ტერორიზმის განმარტება შემდეგ ძირითად ფაქტორებს ეყრდნობა: „ქმედება რომელიც მიმართულია დესტაბილიზაციის ან ფუნდამენტური პოლიტიკური, ეკონომიკური ან ქვეყნის სოციალური სტრუქტურის განადგურებისაკენ და საფრთხე ექმნება საზოგადოების ნებისმიერ სექტორის ან საერთაშორისო ორგანიზაციის უსაფრთხოებას“ (Eur-Lex, 2015).

საერთაშორისოდ აღიარებული განმარტების არარსებობის მიუხედავად, გამოკვეთილია სამი ძირითადი ელემენტი რასაც ტერორისტული აქტი უნდა მოიცავდეს 1) ძალადობა, ან ძალის გამოყენების მუქარა; 2) ადრესატი ყოველთვის არ არის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელი; 3) ქმედება უნდა იყოს გამყარებული პოლიტიკური, სოციალური მიზნის მიღწევის სურვილით (White, 2016, pp. 3-5).

პროპაგანდა - ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი საკომუნიკაციო მეთოდის გამოყენებას ადამიანთა გონებაზე, ემოციებსა და ქცევაზე ზემოქმედების მიზნით. აუდიტორიის დასარწმუნებლად პროპაგანდისტებმა შეიძლება განსხვავებული მეთოდები გამოიყენონ, თუმცა ისინი ერთი საერთო ნიშნით ხასიათდებიან - აუდიტორიის ღირებულებების და რწმენისკენ არის მიმართული (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, 2008).

რადიკალიზაცია - ტერორიზმის მსგავსად, რადიკალიზაციას არ აქვს საერთაშორისოდ აღიარებული განმარტება. თუმცა ის მოიაზრება ისეთ პროცესად როდესაც ინდივიდი წყვეტს არადემოკრატიული და ძალადობრივი გზებით, მათ შორის ტერორიზმით, მიაღწიოს საკუთარ ან ჯგუფურ იდეოლოგიურ თუ პოლიტიკურ მიზნებს (McCauley & Moskalenko, 2017).

კვლევის შემდეგი ნაწილები დაეთმობა ისლამური სახალიფოს ჩამოყალიბების მოკლე ისტორიას, პროპაგანდისა და სოციალური მედიის გამოყენების ანალიზს, ლიტერატურის ფართო მიმოხილვას, რადიკალიზაციისა და გადაბირების პროცესის აღწერას საქართველოსა და ევროკავშირში.

ისლამური სახალიფოს ორგანიზაციული განვითარების ისტორია

იმისათვის, რომ უკეთ გავაანალიზოთ თუ როგორ შეძლო ისლამურმა სახალიფომ პროპაგანდის ეფექტურად დაგეგმვა და განხორციელება, აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ მისი ისტორიული განვითარების პროცესი და კონტექსტი.

აბუ მუსაბ ალ-ზარქავი. იორდანიელი ჯიჰადისტი, დაიბადა 1966 წელს. ალ-ზარქავი მონაწილეობდა აშშ-ს წინააღმდეგ ტერორისტულ აქტივობებში, როგორც ავღანეთში, ასევე, ერაყის ომის დროსაც. ალ-ზარქავი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა და მას მეტსახელად „ჯალათთა შეიხსაც“ უწოდებდნენ.

ისლამური სახალიფო, მსოფლიოში ასევე ყველაზე ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციის, ალ-კაიდას წიაღიდან აღმოცენდა. ვაისი და ჰასანი საკუთარ წიგნში, *ISIS, Inside the Army of Terror* აღნიშნავენ, რომ ორგანიზაციის ჩამოყალიბების საფუძვლები 1999 წელს უნდა ვეძებოთ, როდესაც ისლამური სახალიფოს დამფუძნებელი, აბუ მუსაბ ალ-ზარქავი ალ-კაიდას ლიდერს, ოსამა ბინ ლადენს შეხვდა. (Weiss & Hassan, 2015, p. 13) ალ-ზარქავის მალევე მიეცა პრივილეგიები, მათ შორის, ავღანეთში მდებარე საწვრთნელი ბანაკის მართვის უფლება, (ალ-ზარქავიმ ბანაკს ლევანტის მებრძოლები უწოდა) თუმცა, მან პარალელურად საკუთარი ამბიციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი ორგანიზაცია, ჯამაათ ალ-თავჰიდ ვა-ალ-ჯიჰად (JTWJ-მონოთეიზმისა და ჯიჰადის ორგანიზაცია) (Lister C. , Profling the Islamic State, 2014, p. 6).nჯგუფის მთავარი მოტივი იორდანიის მმართველობის, როგორც არასაკმარისად მუსლიმი ხელისუფალის შეცვლა იყო. ჯგუფში ძირითადი მოხალისეები სწორედ იორდანიიდან იყვნენ. თუმცა, იორდანიის წინააღმდეგ თანამოაზრეთათვის მასობრივი ბრძოლა ნაკლებად აღმოჩნდა პოპულარული იდეა და ალ-ზარქავიმაც მალევე გადაწყვიტა საკუთარი მიზნების შეცვლა და მისი მორგება ერაყის ომზე. ორგანიზაციამ მალევე გადაინაცვლა ერაყში და 2003 წლის შემდეგ, ერთ-ერთ ყველაზე დიდ თავსატეხად მოევლინა აშშ-ს ჯარებს. ერაყის ომის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი დაპირისპირებაც სწორედ ჯგუფსა და აშშ-ს

სამხედრო ქვედანაყოფებს შორის 2004 წელს, ფალუჯაში გაიმართა (Lister C. R., 2015, p. 265). იმის გამო, რომ აშშ-მ ვერ შეძლო ალ-ზარქავის ლიკვიდაცია 2006 წლამდე (ალ-ზარქავი საჰაერო დაბომბვის შედეგად მოკლეს) აბუ მუსაბ ალ-ზარქავი საკუთარ წრეში გახდა ერთგვარი ლეგენდა, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა არა მხოლოდ სუნიტურ ჯგუფებში, არამედ სადამ ჰუსეინის ბაათისტური არმიის ოფიცრებსა და ნაციონალისტებს შორისაც (Bardaji, 2015, p. 2).

აბუ მუსაბ-ალ ზარქავი კარგად აცნობიერებდა იმ კონკურენციასაც, რაც იმდროინდელ ერაყში არსებობდა. იგულისხმება ის, თუ ვისაც ჰქონდა ექსკლუზიური უფლება მიეტენა იერიშები აშშ-ს ჯარებზე და შიიტებზე, მასვე ჰქონდა მეტი ყურადღება მედიისგან, ფინანსები და შესაბამისად, მებრძოლთა ახალი ნაკადის შევსების მიღების შესაძლებლობა. ტერორიზმის მკვლევარმა, ბრაიან ჯენკინსმა აღნიშნა, რომ ტერორისტისთვის მთავარია ბევრი მაყურებელი და არა მსხვერპლი. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მედიამ მათი ქმედებები გააშუქოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება (Jenkins, 2012, p. 118). ამ მიმართულებით ჯგუფის ლიდერმა გამოსავალი იპოვა და მთლიანად შეურთდა/დაუბრუნდა ალ-კაიდას და 2004 წლიდან მოიხსენიება როგორც ალ-კაიდა ერაყში (AQI). ამ ნაბიჯმა ზარქავის მისცა სამი ტიპის უპირატესობა: 1) მიიღო ალ-კაიდას პრესტიჟის ნაწილი; 2) გაიჩინა დაფინანსების დიდ წყაროსთან წვდომის შესაძლებლობა და 3) გაზარდა საკუთარი გავლენა სხვა მცირე ჯგუფებზე ერაყში, სადაც შექმნა მუჯაჰედთა საბჭო და მთავარი ემირი თვითონვე გახდა (საბჭო აერთიანებდა 6 ტერორისტულ ჯგუფს. ამავე საბჭოს ფარგლებში გაჟღერდა პირველად ისლამური სახელმწიფოს შექმნის იდეის შესახებ (Stern & Berger, 2015, pp. 21-25).

ალ-ზარქავის სიკვდილის შემდეგ, ალ-კაიდა ერაყში ერთგვარ ტრანფორმაციის გზას დაადგა. ორგანიზაციის ახალ ხელმძღვანელად, მმართველმა საბჭომ 2006 წელს ალ-ზარქავისთან და აიამან ალ-ზავაჰირთან (ალ-კაიდას ლიდერი) დაახლოებული პირი, ალ-მასრი აირჩია. სწორედ ალ-მასრის ეკუთვნის ორგანიზაციის სახელწოდების ოფიციალურად შეცვლა და ალ-კაიდასგან

ეტაპობრივი გამიჯვნა. მისი არჩევიდან 6 თვეში, შურას საბჭომ გამოაცხადა ერაყის ისლამური სახელმწიფოს (ISI) შექმნის შესახებ, ხოლო ორგანიზაციის ახალ ლიდერად აბუ ომარ ალ-ბაღდადი აირჩიეს. ომარ ალ-ბაღდადმა 2 თვეში, საკუთარ გამოსვლაში აღწერა თუ რა მიზნები ამოძრავებდა ისლამურ სახელმწიფოს ერაყში: 1) მუსლიმების გლობალურად გაერთიანება (უმმაჰ); 2) ისლამური სახელმწიფოს ტერიტორიტორიული გაფართოება ჩინეთიდან-ესპანეთამდე; 3) საკუთარ გამოსვლაში, ორგანიზაციის ახალმა ლიდერმა მოსთხოვა ყველა ჯგუფს ერაყში მორჩილება (ამ მხრივ ალ-კაიდასთან ურთიერთობის კუთხით პირველი სერიოზული ბზარი გაჩნდა). აბუ ომარ-ალ ბაღდადმა საკუთარი თავი, ასევე, მოიხსენია როგორც მორწმუნეთა პრინცი და მორწმუნეთა ხელმძღვანელი, რაც ხალიფათა ერთგვალი „რეგალიეა“. ამრიგად, 2006 წელსვე, ისლამური სახელმწიფოს შექმნის პარალელურად, იბადება ხალიფატის ჩამოყალიბების ამბიციაცა და სურვილიც (Nance, 2014, pp. 49-50).

მიზნებისგან განსხვავებული აღმოჩნდა რეალობა. ისლამური სახელმწიფოს გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა და ორგანიზაცია კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიზეზები შეიძლება ვეძებოთ როგორც აშშ-ს პოზიციების კიდევ უფრო გაძლიერებაში, ასევე ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ჯგუფებთან (მათ შორის სუნიტებთან) დაპირისპირებაში. 2007-2010 წლებში კოალიციური ძალების მიერ წარმოებულმა ოპერაციებმა თითქმის გაანადგურა ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ძალები ერაყში (Johnson, 2008, გვ. 252-253). 2010 წლის 18 აპრილს, აშშ-ს სპეციალური დანიშნულების რაზმის მიერ ჩატარებული რეიდის შედეგად, ალ-მასრიცა და აბუ ომარ ალ-ბაღდადიც მოკლეს (CNN Wire Staff, 2010).

ლოგიკური იქნებოდა ორგანიზაცია საბოლოოდ გამქრალიყო ერაყის რუკიდან, მაგრამ ახალმა ლიდერმა, დროსა და სივრცეში სწორი მანევრირება შეძლო და ორგანიზაცია ლიკვიდაციას გადაარჩინა. ალ-მასრისა და აბუ ომარ ალ-ბაღდადის სიკვდილის შემდეგ, საბჭომ ხმათა უმრავლესობით, ყველასთვის უცნობი ადამიანი, იბრაჰიმ ავად ალ-ბადრი, იგივე აბუ ბაქრ-ალ ბაღდადი აირჩია. ისლამის უბადლო მცოდნესა და ერაყის ისლამური სახელმწიფოს რელიგიური ურთიერთობების

მიმართულების ხელმძღვანელს ერთადერთი მიზანი-ხალიფატის შექმნა ამოძრავებდა (Orton, 2016, pp. 17-18).

ახალმა ლიდერმა კარგად გამოიყენა არსებული გარემოება, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების გასვლა ერაყიდან და სახელმწიფოს შიგნით შექმნილი ქაოსი (Bardaji, 2015, p. 18). აშშ-ს ჯარებმა ქვეყნის უსაფრთხოება მისივე გაწვრთნილ და შეიარაღებულ ერაყის არმიას გადააბარა. თუმცა საბრძოლო გამოუცდელობის გამო, ერაყის არმია საწყის ეტაპზევე უძლური აღმოჩნდა სახელმწიფოს შიგნით წესრიგი დაეცვა. მაგალითისთვის, 2014 წლის ივნისში (ხალიფატის გამოცხადების საკვანძო მომენტი) ალ-ბაღდადიმ 1,500 მებრძოლით დაიკავა მოსული, მაშინ როცა ქალაქს 30,000-მდე ერაყელი ჯარისკაცი იცავდა. გარდა ამისა, სადამ ჰუსეინის არმიის მაღალჩინოსნების კვლავ ჰქონდათ სურვილი მოეპოვებინათ გავლენა ერაყში. ალ-ბაღდადის ოჯახიც სადამ ჰუსეინის ბაატისტურ პარტიას ეკუთვნოდა. ძველი კონტაქტებისა და კავშირების შედეგად, მან მოახერხა ჰუსეინის დროინდელი მაღალჩინოსნების გადმობირება და მათი საბრძოლო ოპერაციებში ჩართვა. ალ-ბაღდადის პოზიციების გაძლიერებას დიდწილად ხელი შეუწყო არაბული გაზაფხულის შედეგად გამოწვეულმა არეულობამ რეგიონში. 2011 წელს ალ-ბაღდადიმ შექმნა ორგანიზაცია ჰაბჰატ ალ-ნუსრა, რომელიც გამოიყენა როგორც იარაღი სირიის სამოქალაქო ომში საკუთარი პოზიციების გაძლიერებისათვის (Lister C. , 2016, p. 6). 2014 წლის 29 ივნისს, მას შემდეგ რაც ერაყის სიდიდით მეორე ქალაქი მოსული დაეცა, დიდ მეჩეთში გამოსვლისას აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ ისლამური სახალიფოსა და საკუთარი თავის ხალიფად გამოცხადების შესახებ განცხადება გააკეთა. ამ დროიდან იწყება ისლამური სახალიფოს ერთგვარი რენესანსი (Orton, 2016, pp. 17-21). ისლამური სახალიფოს მიზნები შეიძლება გრაფიკულად შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

სახალიფოს ლიდერის მიერ თავიდანვე გადადგმულ ყველა ნაბიჯს სიმბოლური დატვირთვა და კარგად განსაზღვრული მიზანი ამოძრავებდა. 1) ვინ არის ხალიფა? - ხალიფა არის წინასწარმეტყველ მუჰამედის წარმომადგენელი, ყველა მუსულმანის სულიერი ლიდერი, საღვთო კანონების დამცველი და აღმსრულებელი დედამიწაზე. ამგვარად, საერთაშორისო მხარდამჭერთა და ასევე მოწინააღმდეგეთა თვალში, ალ-ბაღდადიმ სცადა საკუთარი თავისა და აქტივობების ლეგიტიმურობისათვის გაესვა ხაზი; 2) ის სახელი, რომელიც მან დაირქვა, ისლამურ სამყაროში უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია, აბუ ბაქრი იყო პირველი ხალიფა (632-634 წლებში) და ასევე მუჰამედის ნათესავი და პირველი მრჩეველი. სუნიტური ტრადიციის მიხედვით, პირველი ოთხი ხალიფა, რომლებიც იდეალური მუსლიმი მბრძანებლის სიმბოლოებად ითვლებიან, მუჰამედის ახლო თანამებრძოლნი იყვნენ და ძალაუფლება მემკვიდრეობით არ მიუღიათ. (Muir, 1915, pp. 1-8) რაც შეეხება ბაღდადს, ქალაქს, როგორც კულტურულ ცენტრს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ისლამურ სივრცეში, გარდა ამისა, ერაყის დედაქალაქი გახლდათ არაბთა სახალიფოს დედაქალაქიც. ამგვარად, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ (იგივე იბრაჰიმ ალ–ბადრი) საკუთარი თავი წარმოაჩინა როგორც, მუჰამედის ნათესავი, ხალიფა და ბაღდადისთვის სამართლიანად მებრძოლი; 3) ალ-ბაღდადიმ თავიდანვე აირჩია ჩრდილში ყოფნის სტრატეგია, ამ მხრივ მან უფრო მეტი ადამიანის მხარდაჭერის მოპოვება შეძლო ვიდრე ლიდერებმა, რომლებიც

ყოველკვირეულ და ყოველთვიურ ხანგრძლივ ვიდეო მიმართვებს ავრცელებდნენ (მაგ. აიამან ალ ზავაჰირი და ოსამა ბინ ლადენი) (Stern & Berger, 2015, p. 22).

ისლამური სახალიფოს სტრუქტურა მკაცრად იერარქიულია. გრაფიკი 1 აღწერს ორგანიზაციის მმართველობის სისტემას (Orton, 2016).



გრაფიკი 1

2014 წლის სექტემბერში, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო ვარაუდობდა, რომ ისლამური სახალიფოს მებრძოლთა რაოდენობა 20,000-30,000 ადამიანს შეადგენდა, რომელთა დიდი ნაწილი სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები იყვნენ. დღეისათვის, ორგანიზაციის წევრთა ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა სხვადასხვა ინფორმაციის მიხედვით მათი რიცხვი 15,000-ს არ აღემატება (Schmid A. P., 2015, pp. 1-2).

რაც შეეხება ისლამური სახალიფოს ფინანსურ შემოსავლებს, ძირითად წყაროს წარმოადგენდა ნავთობის გაყიდვის, კონტროლირებული ტერიტორიებიდან გადასახადის აკრებისა, ტრეფიკინგისა და ნარკოვაჭრობის შედეგად დაგროვილი თანხა. რომელიც 2014 წლისათვის დღიურად 1-2 მილიონ დოლარ შემოსავალს აძლევდა ორგანიზაციას (Center for the Analysis of Terrorism, 2016, pp. 9-21).

წინამდებარე კვლევის მიზანი არ არის ისლამური სახალიფოს ისტორიული განვითარების კუთხით სიღრმეებში შესვლა, ამრიგად, ჩვენ შეგნებულად ვუვლით გვერდს გახმაურებულ ტერორისტულ აქტივობებსა და სხვადასხვა მოვლენების ისტორიული განვითარების ცალკეულ ქვეთავებში ჩამოთვლას.

ისლამური სახალიფოს მიერ წარმოებული პროპაგანდა

ისლამურმა სახალიფომ მოახერხა კომპლექსური, მრავალმხრივი და მასშტაბური პროპაგანდის შემუშავება სირიისა და ერაყის გარეთ მხარდამჭერთა მოზიდვის მიზნით. როგორც როსი და მორენგერი აღნიშნავენ, ორგანიზაციის პროპაგანდას ოთხი ძირითადი მახასიათებელი და გზავნილი აქვს: 1) ისლამურმა სახალიფომ მოახერხა ხალიფატის აღდგენა, რომელიც ეფექტურად ფუნქციონირებს და ეფუძნება შარიათის კანონებს და არის ერთადერთი ისლამური სახელმწიფო დედამიწაზე; 2) ყველა პარამეტრის (თეოლოგიური და პოლიტიკური) მიხედვით ის აღემატება ყველა სხვა სახელმწიფოებსა და ისლამისტურ ჯგუფებს რეგიონში; 3) ის მუდამ ძლიერდება ეკონომიკურად, სოციალურად, იდეურად და ტერიტორიულად და არავის შეუძლია მისი შეჩერება; 4) მისი საქმიანობა მორალური და გამართლებულია, მიმართულია დასავლეთისა და შიიტების მიერ სუნიტების ჩაგვრისგან განთავისუფლებისაკენ (Ross, Barr, & Moreng, 2016, pp. 5-6).

სახალიფოს კომუნიკაციის სტრატეგიას რამდენიმე სამიზნე ჯგუფი ჰყავს: 1) ჯგუფის უშუალო წევრები; 2) პოტენციური წევრები; 3) დაპირისპირებული მხარეები, კონკრეტულად კი დასავლეთი. თითოეულ სამიზნე ჯგუფთან ორგანიზაციას განსხვავებული გზავნილები და მეთოდოლოგიური მიდგომა აქვს. კვლევის ფარგლებში ჩვენთვის საინტერესოა მეორე ჯგუფი, თუმცა მოკლედ მიმოვიხილავთ პირველსა და მესამეს.

ჯგუფის წევრთა მოტივაციისა და ბრძოლისუნარიანობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით (ძირითადად სოციალური მედიის)

ისლამური სახალიფო საკუთარი იმპერატიულობისა და სხვებზე უპირატესობის შესახებ არწმუნებს ჯგუფის წევრებს. ჯიჰადში ბრძოლის ფაქტორიც პროპაგანდისა და გზავნილების დამუშავების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს (სამოთხეში მოხვედრის გარანტია, რამდენიმე ათეული ნათესავის სამოთხეში წაყვანის შესაძლებლობა და ა.შ). მეორე მხრივ, ჯიჰადში ორგანიზაციის მიტოვება და ფიცის გატეხვა ადამიანს სიცოცხლის ფასადაც დაუჯდება. საკუთარი წევრებისადმი, ისლამური სახალიფო იყენებს ერთგვარ „კეტისა და თაფლაკვერის“ პრინციპს, ხოლო მოწინააღმდეგეებთან მიმართებაში ორგანიზაცია პოზიციონირებს როგორც გამარჯვებული მხარე, როგორც ფიზიკურად და მატერიალურად, ასევე მორალურადაც (Ross, Barr, & Moreng, 2016, pp. 20-25).

ორგანიზაციის ხელში, პროპაგანდის წარმოების მთავარ მიზნად საერთაშორისო მხარდამჭერთა გადაბირება და საკუთარი რიგების შევსება წარმოადგენს. სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, უცხოელთა გადაბირება ორგანიზაციას შემდეგ სარგებელს აძლევს: 1) პირველ რიგში, 2014-2015 წლებისთვის ისლამური სახალიფოს მებრძოლთა შემადგენლობის დაახლოებით 30 პროცენტს უცხოელები წარმოადგენდნენ, შესაბამისად, წმინდა ოპერაციული კუთხითაც აქტიურობა და მუშაობა აღნიშნულ სამიზნე ჯგუფზე ჯგუფის გადარჩენისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია; 2) უცხოელთა გადაბირება ორგანიზაციას აძლევს მორალურ უპირატესობასა და საკუთარი საქმიანობის ლეგიტიმაციის გამტკიცების საშუალებას საერთაშორისო მასშტაბით. რა თქმა უნდა, დიდი ფსიქოლოგიური და ბრძოლის დროს ტაქტიკური ეფექტი აქვს გზავნილს, რომ ევროპული ქვეყნებიდან კომფორტულ საცხოვრებელს ადამიანი ტოვებს და ნახევრად უდაბნოში, უცხო ხალხთან ერთად საკუთარი ქვეყნისა და საზოგადოების წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას. 3) მას შემდეგ, რაც უცხოელთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდება, ისლამურ სახალიფოს ექნება საშუალება ადგილზე მიიტანოს იერიში და ომი უფრო მეტად ტოტალური გახადოს ე.წ მიძინებული ტერორისტების საშუალებით (Fellman, 2015, pp. 2-10).

უცხოელთა მოხიბვლის მიზნით, ტერორისტული ორგანიზაცია რამდენიმე ძირითად გზავნილს იყენებს. განვიხილოთ ძირითადი მათგანი:

- **უტოპიური, იდეალური ისლამური სახელმწიფოს არსებობა.** სიღრმისეულმა ინტერვიუებმა, რომლებიც ჩვენი გადაბირებული მოქალაქეების მშობლებთან ჩატარდა აჩვენა, რომ იდეალურ ისლამურ სახელმწიფოში ცხოვრების სურვილი და საკუთარი წვლილის შეტანა, ჩვენი მოქალაქეებისთვისაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. წინასწარმეტყველ მუჰამედის სწავლებასა და შარიათის კანონებზე აგებული საზოგადოებრივი ცხოვრების იდეა, სადაც ყველაფერი ჰარმონიულია ისლამური სახალიფოს პროპაგანდის მთავარი ნაწილია. იმისათვის, რომ ორგანიზაციის მიერ კონტროლირებად ტერიტორიზე სამოთხისეული ცხოვრების ილუზია გაჩენილიყო, ისლამურმა სახალიფომ უამრავი რესურსი დახარჯა. სოციალურ მედიაში გავრცელდა უამრავი ვიდეო მასალა, მაღალი ხარისხითა და ეფექტებით, სადაც ნაჩვენები იყო თუ რა ეფექტურად მუშაობს მათი საჯარო დაწესებულებები, თუ რა უხვი რაოდენობით იყო სახალიფოში საჭმელი და როგორ იზრდებოდა ეკონომიკა. ვიდეო რგოლები აღწერდნენ ხალიფატს, როგორც მუსლიმთათვის ღვთიურ და ჰარმონიულ საცხოვრებელ სივრცეს. ვიდეო მასალების ეფექტი წარმოუდგენლად დიდია. პანკისის ხეობაში, რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი შვილები „მუდამ უყურებდნენ ვიდეობს ინტერნეტში“. რამდენიმე მათგანმა აღნიშნა კიდეც, რომ ხშირად ისინიც ატირებულან, როდესაც უყურებდნენ შვილთან ერთად ისლამური სახალიფოს მიერ გადაღებულ ვიდეობს (Ross, Barr, & Moreng, 2016, p. 21).

- **ხალიფატში გაერთიანების რელიგიური ვალდებულება.** ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მისი შვილის რადიკალიზაციასა და გადაბირებაში უმთავრესი როლი რელიგიამ და ვაჰაბიტურმა მოძღვრებებმა შეასრულეს. პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები ძირითადად სუნიტური ისლამის მიმდევრები არიან. აქ 1990-იან წლებში ე.წ ვაჰაბისტურმა

მიმდინარეობამ იჩინა თავი, რომელიც დღეს, თამამად შეიძლება ითქვას, ძალებს იკრებს ხეობაში და რადიკალიზაციის, გამარტივებული რეკრუტირებისა და იდეოლოგიური განხეთქილების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ. ვაჰაბიზმი შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც ტრადიციულ ისლამს (სუნიტებსა და შიიტებს) უპირისპირდება. იგი XVIII საუკუნის შუა წლებში საუდის არაბეთში აღმოცენდა. მისი დამაარსებელია მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბი, რომელიც თავის მოძღვრებასა და რელიგიურ პრაქტიკას „სუფთა ისლამს" უწოდებდა და რწმენის ერთადერთ წყაროდ ყურანს მიიჩნევდა. ვაჰაბიზმი ილაშქრებს ტრადიციული ისლამის წინააღმდეგ, რომელიც, ისეთ ელემენტებს შეიცავს, რაც ყურანში მოცემული არ არის. ვაჰაბიზმი, ასევე, ქადაგებს მსოფლიოს ისლამიზაციის იდეას, რაც მისმა მიმდევრებმა აიტაცეს და მეზობელ ქვეყნებში დანერგეს. ვაჰაბისტთა ცნობიერებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ჯიჰადს. ვაჰაბისტები ქმნიან თანამოაზრეთა თემებს - ჯამაათებს, რომლებსაც ცხოვრების მკაცრი რეგლამენტი აქვთ. ჯამაათი უპირისპირდება იმ ისლამურ საზოგადოებას, რომელიც საერო კულტურაზე, ზოგად განათლებაზე, ხელოვნებაზე, სპორტზე უარს არ ამბობს. ჯამაათის წევრებს რჯულისადმი ტოტალური მორჩილება და საბრძოლო მზადყოფნა ევალებათ ((საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, 2008).

ისლამური სახალიფოს სპიკერმა, 2014 წელს განაცხადა, რომ ხალიფატის გამოცხადებისთანავე, ყველა ჭეშმარიტი მუსლიმი ვალდებულია ერთგულება შეჰფიცოს ხალიფასა და ხალიფატის იდეას. გარდა ამისა, ორგანიზაციამ 2015 წელს მოამზადა რამდენიმე ვიდეომასალა, სადაც სპიკერი განმარტავს თუ რა დიდი ცოდვაა ჰიჯრის (ჯიჰადისკენ მიმავალი გზის) მიტოვება და მაგალითად მოჰყავს ორი სმენადაქვეითებული უცხოელი მებრძოლი, იმ პათოსით, რომ თუ კი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები მოდიან საღვთო ომში, მაშინ სრულიად

ჯანმრთელს პასიურობისა და განზე დგომისთვის პატიება არ ეკუთვნის (Ross, Barr, & Moreng, 2016, გვ. 24).

- **ჯიჰადური თავგადასავალი და სულისკვეთება.** უცხოელ მებრძოლთა უმრავლესობა (საქართველოს შემთხვევაშიც) ახალგაზრდები არიან. მათი საშუალი ასაკი 20-30 წელია. ამგვარად, ამ ადამიანთა გადაბირებისა და რადიკალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია მათთვის რელიგიური, უტოპიური და იდეალური სამყაროს გარდა იყოს თავგადასვლისა და საერთო სულისკვეთების ელემენტებიც. ამ მხრივ, ისლამური სახალიფოს პროპაგანდა ნამდვილად უკმაყოფილებს პოტენციურ ტერორისტებს მოთხოვნილებებს. ვიდეო თამაშებიდან დაწყებული, სულისკვეთებისა და მოტივაციის ასამაღლებელი სიმღერებიდან დამთავრებული, ორგანიზაცია ყველანაირად ცდილობს ახალგაზრდების ფანტაზიების რეალურ ცხოვრებაში გადმოტანას. ერთ-ერთ პროპაგანდისტულ ვიდეოში, რომელიც youtube-ზე გავრცელდა და 100,000-ზე მეტმა ადამიანმაც ნახა, აღწერილია თუ როგორ ისვენებენ ბრძოლის შემდეგ უცხოელი და ადგილობრივი ჯიჰადისტები აუზში და როგორი კარგია საძმოში ყოფნა. ჯგუფთან მიკუთვნებულობის სურვილიც ასევე ერთ-ერთ ცვლადად და პარამეტრად შეიძლება განვსაზღვროთ ადამიანის რადიკალიზაციის პროცესში (Ross, Barr, & Moreng, 2016, გვ. 22).

სურათი 1 ვიდეოში აღწერილია თუ როგორ ისვენებენ ჯიჰადისტები ყოველი ბრძოლის შემდეგ (სახალიფო, 2013)

გზები, რომლითაც ისლამური სახალიფო საკუთარ გზავნილებსა და პროპაგანდისტულ მასალებს სამიზნე აუდიტორიას აწვდის, მრავალფეროვანი და დიფერენცირებულია. კვლევის ფარგლებში, ავტორი ერთი თვე აკვირდებოდა Telegram-ის (ტელეგრამი) ჯგუფებს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ ყოველდღიურად რამდენიმე ინფორმაციას

უზიარებს ჯგუფის წევრებს. (ჯგუფში მოხვედრა შესაძლებელი გახდა ტერორიზმის კვლევისა და ანალიზის კონსორციუმის (TRAC) დახმარებით, სადაც ავტორი მუშაობს როგორც მკვლევარი.) საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ, ALRISALAH ჟურნალის მეოთხე ნომრის პოსტერი, სადაც აღწერილია თუ როგორ უნდა მივცეთ სულისკვეთება მორწმუნეებს, გზავნილი ნიგერიიდან, თანამედროვე ჯიჰადი და ა.შ. ინფორმაციას ასევე თან ერთვის ჟურნალის გადმოსაწერი ბმულიც. ტელეგრამის გარდა, კომუნიკაციის მიზნით იყენებენ (საქართველოში ყველა რესპონდენტმა დაადასტურა) whatsup აპლიკაციას, ხოლო ევროპასა და სხვადასხვა რეგიონში ბევრისთვის უცნობ Pidgin პროგრამას, რომელიც მაღალი დაცულობისა და დაშიფრული ტექსტით მიმოწერის საშუალებას იძლევა.

სურათი 2ჟურნალ Alrisalah მე-4 ნომრის პოსტერი

საქართველოსა და ევროპის მაგალითებზე საუბრისას, პროპაგანდის გავლენის ანალიზისას, კომუნიკაციის მეთოდებს კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა.

ლიტერატურის მიმოხილვა

ტერორისტული ორგანიზაციის გადარჩენისათვის, პროპაგანდის წარმოებასა და საერთაშორისო ასპარეზზე დარჩენას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ახალი მებრძოლებისა და თანამოაზრეების გაჩენის გარეშე, ტერორისტული ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები ყოველთვის ლიმიტირებული იქნება. ამ მხრივ, ყველა ჯგუფი, განსაკუთრებით კი ისლამური სახალიფო ცდილობს მედიის ყურადღების ცენტრში დარჩეს და საკუთარი გზავნილები და პროპაგანდა

გამოიყენოს გადაბირებისა და რადიკალიზაციისთვის. 1985 წელს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, მარგარეტ ტეტჩერმა ერთ-ერთ გამოსვლაში ახსენა, რომ მედია ტერორისტებისთვის ერთგვარი ჟანგბადია. (Gerstman, 2013)

პროპანგადის საკითხის შესწავლას არაერთი ცნობილი მკვლევარი თუ სახელმწიფო მოღვაწე ცდილობდა. კომუნიკაციების, სოციალური ფსიქოლოგიისა და პროპანგდის სფეროს ერთ-ერთ პირველ მკლვლევარად ლეონარდ დუბი შეგვიძლია მივიჩნიოთ. იელის უნივერსიტეტის პროფესორის წიგნი *პროპაგანდა: მისი ფსიქოლოგია და ტექნიკები* რომელიც 1935 წელს დაიბეჭდა, პროპაგანდის ანალიზისა და შესწავლის ქრესტომატიად ითვლება. დუბი აღნიშნავს, რომ პროპაგანდა ეს არის მცდელობა მოახდინო ზეგავლენა ინდივიდზე და გააკონტროლო მისი საქციელი შენთვის სასურველი მიზნდებიდან გამომდინარე. (Doob, 1935, p. 89) მისივე დაშვებით, პროპაგანდა შეიძლება იყოს სრულიად სიცრუეზე, ან კიდევ ნახევრად მცდარ ინფორმაციაზე აგებული, თუმცა უმთავრესია, რომ მან აღძრას ძირითადად ემოციური გრძნობები სამიზნე აუდიტორიაში. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, მაშინ ისლამური სახალიფო სწორედ ემოციური თამაშის წესს არჩევს ადამიანთა რადიკალიზაციისა და გადაბირების პროცესში. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ მისი შვილი ხშირად ტიროდა ისლამური სახალიფოს მიერ გავრცელებეული ვიდეობის გამო, რასაც ის youtube-ში უყურებდა და სადაც ნაჩვენები იყო თუ როგორ ექცეოდა დასავლეთი და ისლამის მტრები ჭეშმარიტ მუსლიმებს, როგორ ატყვევებდნენ ქალებსა და ბავშვებს.

ფრანგი ფსიქოლოგი და სოციოლოგი, ჟაკ ელული 1973 წელს გამოცემულ წიგნში, "*პროპაგანდა: ადამიანის დამოკიდებულების ფორმაცია* ნათლად" აღწერს პროპაგანდის 4 კატეგორიას : 1) პოლიტიკური vs სოციოლოგიური პროპაგანდა - პოლიტიკური პროპაგანდა მოიცავს გავლენის ისეთ ტექნიკებს რომელსაც იყენებს ხელისუფლება, პოლიტიკური პარტია ან სახელმწიფო ინსიტუტი იმისათვის, რომ შეიცვალოს საზოგადოებრივი ქცევა საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. სოციოლოგიური პროპაგანდის შემთხვევაში, ინდივიდები ან ჯგუფების საზოგადოების შიგნით ერთიანდებიან გარკვეული ღირებულებების ირგვლი და

ცდილობენ საკუთარი ნიშა განავრცონ საზოგადოების სხვა ჯგუფებზეც. ამრიგად საზოგადოების შიგნით იქმნება ნიადაგი ისეთი პროპაგანდისტული გზავნილების შესამუშავებლად, როგორიცაა „ჩვენ და ისინი“, „კეთილი და ბოროტი“ და სხვა.; 2) ვერტიკალური vs ჰორიზონტალური პროპაგანდა - ვერტიკალური პროპაგანდის სამიზნე ინდივიდია, ხოლო ჰორიზონტალურის კი საზოგადოებრივი ჯგუფი. ; 3) რაციონალური vs ირაციონალური პროპაგანდა; 4) აგიტაცია vs ინტეგრაციული პროპაგანდა - პროპაგანდის აგიტაციური მოდელი მიმართულია არსებული წესრიგის/ვითარების შეცვლისკენ და ამ მიზნით ცდილობს საზოგადოების მობილიზებას. ხშირ შემთხვევაში აგიტაციური პროპაგანდა დესტრუქციულია და იწვევს ამბოხებას, არეულობასა და დაპირისიპირებას. ინტეგრაციული პროპაგანდის მიზანია საზოგადოების გაერთიანება და გრძელვადიანი სტაბილურობის დანერგვაა. ინტეგრაციული მოდელი ხშირ შემთხვევაში იყენებს ემოციებს, კულტურასა და მითებს, რომელიც ასაზრდოებს საზოგადოებას და აჩენს მთლიანობისა და ერთიანობის განცდას (Ellul, 1973, pp. 61-84).

ტერორისტული ორგანიზაცია ხშირ შემთხვევაში მესამე კატეგორიას იყენებს, როდესაც ის ინდივიდს (პოტენციურ თანამებრძოლს) ემოციებისა და გრძნობებით განმსჭვალული პათოსით მიმართავს და ამასთანავე გზავნილში მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ფაქტებს, მოტივებსა და ამოცანებს აჟღერებს, რაც მიმღებს გზავნილის რაციონალურობის ასპექტებშიც არწმუნებს. ელულის აზრით, საკმარისია ამ ორი მიდგომის კომბინირება, რომ ადამიანმა ფაქტებზე დაფუძნებითა და რაციონალური აზროვნებით, სრულიად ირაციონალური და ემოციური გადაწყვეტილება მიიღოს (Ellul, 1973).

ტერორისტული ორგანიზაციების ხელში პროპაგანდა ძლიერ იარაღად იქცა. ბრიუს ჰოფმანი აღნიშნავს, რომ ტერორისტული ორგანიზაციების მთავარი აქსიომა საზოგადოებისა და მხარდამჭერთა მაქსიმალური მობილიზებაა. მისი აზრით, ამ მიზნის მიღწევისათვის ერთადერთ საშუალებად საკუთარი საქმიანობის მაქსიმალური გაშუქება და პროპაგანდის წარმოებაა. ეს უკანასკნელი, ორგანიზაციას აძლევს შემდეგ უპირატესობებს:

- პროპაგანდის წარმოებით, ტერორისტული ორგანიზაცია ახდენს საკუთარი ძალის დემონსტრირებას. მას აქვს შესაძლებლობა და უნარი გვერდი აუაროს მასზე უფრო ძლიერ სახელმწიფოებს და საკუთარი გზავნილი მიიტანოს პოტენციურ მხარდამჭერამდე;
- მას შემდეგ, რაც ორგანიზაციას ჰყავს „მაყურებელი“, მას მარტივად შეუძლია მათ გონებასა და დამოკიდებულებაზე ზეგავლენის მოხდენა სხვადასხვა საშუალებებით; (Hoffman, 2006, p. 4)

ჰოფმანის აზრით, პროპაგანდის წარმოების პროცესში, ტერორისტული ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია კონკრეტული გზავნილის მიწოდება საკუთარი სამიზნე ჯგუფისათვის. გზავნილის შინაარსი და მიზანი სხვადასხვაგვარია, კერძოდ, ის შეიძლება იყოს როგორც დიდაქტიკური (მატერიალური, ფინანსური ან თუნდაც სულიერი მხარდაჭერის მიღება) ან კიდევ ახალი მებრძოლების გადაბირების მექანიზმი. (Hoffman, 2006, p. 5)

ხშირ შემთხვევაში, რთულია ხაზის გავლება პროპაგანდის წარმოებისას თუ ვინ არის ტერორისტული ორგანიზაციის მთავარი სამიზნე ჯგუფი. ადამიანები, ვინც უკვე ორგანიზაციის წევრები, მხარდამჭერები არიან თუ ისინი ვინც ჯერ შორიდან აკვირდებიან მის საქმიანობას. ნებისმიერ შემთხვევაში, ჯგუფის წარმატებული მუშაობისათვის ორივე სამიზნე აუდიტორიის დაფარვა მისთვის უმნიშვნელოვანესია. (Hoffman, 2006, pp. 6-7)

გლობალური ჯიჰადური მოძრაობის ორგანიზაციებისათვის, პროპაგანდა არის საშუალება დასავლური ქვეყნებიდან და მუსლიმური თემიდან მხარდამჭერის გაზრდისა. საკუთარი ნაშრომის *გლობალური ჯიჰადის მოძრაობის პროპაგანდის ევოლუციის* ფარგლებში, მანუელ ტორესმა, ხავიერ ჯორდანმა და ნიკოლა ჰორსბურგმა ტერორიზმისა და პროპაგანდის ურთიერთკავშირის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური კვლევა წარმოადგინეს. ავტორები ტერორისტული ორგანიზაციების ხელში პროპაგანდის გამოყენების ევოლუციის რამდენიმე ფაზას გვთავაზობენ:

1. **პირველი ფაზა** - პროპაგანდის წარმოების ტრადიციული მეთოდები, პერსონალიზმი და ბუნდოვანი ინფორმაციები.

   ისლამურმა სახალიფომ შეძლო წარმატებულად ეწარმოებინა პროპაგანდა იმიტომ, რომ გაითვალისწინა ყველა ის შეცდომა, რაც მისი პარამეტრების მქონე ტერორისტულმა ორგანიზაციამ დაუშვა წარსულში. 1994 წლიდან 2001 წლამდე, ორგანიზაციათა პროპაგანდა, ძირითადად მათ ლიდერებზე იყო დამოკიდებული. ხანგრძლივი ვიდეო ჩანაწერები და მანიფესტები იმეორებდნენ ჯგუფის მოთხოვნებსა და ამოცანებს. არც შინაარსით და არც ფორმით, მიმართვები არ იყო მორგებული საერთაშორისო მაყურებელზე და მხოლოდ შიდა (ორგანიზაციის წევრები) აუდიტორიისთვის იყო განკუთვნილი. ალ-კაიდა იშვიათად თუ ახერხებდა 2001 წლამდე მსოფლიოსთან დამოუკიდებელი კომუნიკაციის წარმოებას. ხშირ შემთხვევაში, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ძირითად წყაროს ოსამა ბინ-ლადენი და მისი სხვადასხვა გამოცემასთან ინტერვიუ წარმოადგენდა. (Torres, Jordan, & Horsburgh, 2006, pp. 400-410)

2. **მეორე ფაზა** - 2001 წლის 13 დეკემბერს, ოსამა ბინ-ლადენმა აღნიშნა რომ 11 სექტემბრის ტერაქტმა, ორგანიზაციის გზავნილი გააჟღერა გლობალურად („ის მიწვდა არაბებს, არა არაბებსა და ჩინელებსაც კი). 9/11-ის შემდეგ, ავტორთა აზრით ტერორისტთა მიერ წარმოებული კომუნიკაციის ფორმა შეიცვალა და შიდა აუდიტორიიდან საერთაშორისო არენაზე გადაინაცვლა. ამ ყოველივეს მხარი შეუწყო 9/11-ის მასშტაბებმა და საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში მოხვედრამ და ასევე, ტექნოლოგიების განვითარებამ და ინტერნეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვამ (Torres, Jordan, & Horsburgh, 2006, p. 415). 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა გააცნობიერეს, რომ თუ მათ სურთ საერთაშორისო მაყურებლისა და მხარდამჭერების მოზიდვა, აუცილებელია, მათი ისედაც აგრესიული და ექსტრემისტული საქმიანობა კარგად იყოს შეფუთული და სამომხმარებლო დონეზე მიეწოდოს ადამიანს.

3. **მესამე ფაზა** - მეორე ფაზის ლოგიკური გაგრძელებაა პროპაგანდის სოციალურ ქსელსა და ინტერნეტში გადატანა. ეს უკანასკნელი იქცა იმ პლატფორმად, სადაც ჯგუფის წევრები არნახული სისწრაფითა და ეფექტურობით ახერხებდნენ საკუთარი განაცხადის მიწოდებას ფართო აუდიტორიისთვის. საჭირო აღარ არის მასშტაბური, აპოკალიპტური ტერორისტული აქტების ჩადენა, რომ ყურადღება მიიზიდო. საკმარისი აღმოჩნდა ადამიანთა თუნდაც გატაცებისა და სიკვდილით დასჯის ვიდეობის ხშირი გავრცელება, რომ ორგანიზაციებს საკუთარი ადგილი საერთაშორისო მედიაში შეენარჩუნებინათ (Torres, Jordan, & Horsburgh, 2006, pp. 418-419)

ტერორიზმის, პროპაგანდისა და ორგანიზაციის მიერ ინტერნეტის ეფექტურად გამოყენებაზე ყურადღებას ამახვილებს გაბრიელ ვაიმანიც. გაეროს მშვიდობის ინსტიტუცის სპეციალურ ანგარიშში, ვაიმანი აღნიშნავს, რომ ინტერნეტი ტერორისტთა ხელში არის პროპაგანდისა და საჯაროობის საუკეთესო არენა. ის გამოყოფს სამ რიტორიკულ სტურქტურას, რომელსაც ეფუძნება ორგანიზაციათა მთავარი გზავნილი ინტერნეტში:

1. ჯგუფი იძულებულია ძალადობრივ გზას მიმართოს საკუთარი მიზნის მიღწევის გზაზე. ამ მხრივ, ორგანიზაციები ცდილობენ მაქსიმალურად ძალადობრივად წარმოაჩინონ დასავლურ ქვეყნები და მათთან დაპირისპირებული მხარეები. კომუნიკაციისას დაპირისპირებული სახელმწიფოები მოხსენიებულნი არიან როგორც მკვლელები, გენოციდის ჩამდენები და ა.შ. (ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი რესპონდენტის შვილი სწორედ პროპაგანდის ამ კონკრეტული მაგალითის ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა, როდესაც მის მიერ ნანახმა ვიდეობმა მასში დასავლურ ქვეყნებთან ემოციური უკმაყოფილების განწყობები გააჩინა). ორგანიზაცია თავის თავს წარმოაჩენს მსხვერპლად, ხოლო მასთან დაპირისპირებულ სუბიექტებს მჩაგვრელ და დემონურ ძალად.

2. საკუთარი საქმიანობისთვის ლეგიტიმურობის ხაზგასმა პროპაგანდისა და ინტერნეტით წარმოებული კომუნიკაციისთვის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. ამ კუთხით, გზავნილებში (ვიდეობი, ფოტოები, მანიფესტები, აქტივობები ფორუმებზე, ვებ-გვერდებზე გავრცელებული ინფორმაცია, პირადი თუ ჯგუფური კომუნიკაცია) გამოკვეთილია, რომ ჯგუფის წევრები არიან არა ტერორისტები, არამედ თავისუფლებისთვის, საღვთო საქმისა და ყველა მუსლიმის გადარჩენისათვის მებრძოლნი.
3. ორგანიზაციის მიერ წარმოებული პროპაგანდა არ არის თვითმიზანი, არამედ საშუალება ახალი მებრძოლების, თანამოაზრეების გაჩენისა და ფინანსური/მატერიალური სარგებლის მობილიზების. (Weimann, 2004, pp. 8-22)

ლორენ ვილიამის, 2016 წელს, Lowy Institute ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში *„ისლამური სახალიფოს პროპაგანდა და გავლენიანი მედია“* საუბრობს იმ მექანიზმებზე, რომლითაც ისლამურმა სახელმწიფომ პროპაგანდა აქცია გადაბირებისა და რადიკალიზაციის იარაღად.

ვილიამსი სხვა ავტორების მსგავსად, აღნიშნავს, რომ ორგანიზაციამ შეძლო მოეშორებინა წარსულის გამოცდილება, როდესაც ჯგუფის ლიდერები ხანგრძლივი და მოსაწყენი სიტყვით მიმართავდნენ საზოგადოებას. თანამედროვე ეტაპზე, ისლამური სახალიფოს მიერ წარმოებულმა პროპაგანდამ მაქსიმალურად აითვისა ახალი ტექნოლოგიები. ჯგუფის მიერ მომზადებული ვიდეობი არაფრით ჩამოუვარდება ჰოლივუდის სპეციალური ეფექტებით დამუშავებულ ფილმებს. დრამატულმა, აპოკალიპტურმა და „მომხმარებელზე“ ორიენტირებულმა გზავნილებმა დედამიწის ყველა წერტილში მიიპყრო პოტენციურ მხარდამჭერთა ყურადღება. ვილიამის აზრით, ორგანიზაციის პოპულარიზებასა და ინფორმაციის გავრცელებაში დიდ როლს თამაშობს გავლენიანი მედია გამოცემებიც. თუმცა, აქ ავტორი თვითონვე აყალიბებს კრიტიკულ მოსაზრებას და ავითარებს აზრს, რომ მედიას სურს პირველმა მოგვითხროს ამბავი, რაც შეიძლება დრამატულად და „მიმზიდველად“. ამასთანავე, საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს, თუ რა

მოვლენები ვითარდება საერთაშორისო ასპარეზზე, ვინ და რა მიზნით ახორციელებს ტერორისტულ შეტევებს. მედიისთვის ჰაერივით მნიშვნელოვანია ინფორმაციისა და სიტყვის თავისუფლება. (Williams, 2016, pp. 5-15)

საქართველოს მოქალაქეთა რადიკალიზაციისა და გადაბირების გზები

2011 წლიდან დღემდე, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ისლამური სახალიფოს რიგები 27,000-მდე უცხოელმა მებრძოლმა გაირა. ამ მხრივ, ISIS ნამდვილად არის „ლიდერი“ ყველა სხვა ტერორისტულ ორგანიზაციასთან შედარებით. აღნიშნული რიცხვი ავღანეთის ომის დროს საბჭოთა კავშირის წინააღდეგ მებრძოლ მუჯაჰედთა რაოდენობასაც კი აღემატება. (Kirk, 2016)

ისლამური სახალიფოს რიგების შევსების კუთხით ლიდერობენ შემდეგი ქვეყნის მოქალაქეები: ტუნისი - დაახლოებით 6,000-მდე ადამიანი; რუსეთის ფედერაცია-3,500-მდე მებრძოლი; საუდის არაბეთი-2,500; თურქეთი-2,100; იორდანია-2,000. რაც შეეხება ევროპული ქვეყნების მოქალაქეთა ჩართულობას ისლამურ სახალიფოში, ამ კუთხით „ლიდერობს“ საფრანგეთი-1,600-მდე მებრძოლით, დიდი ბრიტანეთი-800 ადამიანი, გერმანია-600, შვედეთი-300, ბელგია-500, დანია-150, ბოსნია და ჰერცეგოვინია-500. (Bremmer, 2017)

ISIS-ში მებრძოლ საქართველოს მოქალაქეთა ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. ტერორიზმის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პანკისის ხეობიდან და მაღალმთიანი აჭარიდან წასული საქართველოს 50-100 მოქალაქე ისლამური სახალიფოს რიგებში იბრძვის. ამ სფეროს მკვლევარები საქართველოშიც დაახლოებით იგივე რაოდენობას ასახელებენ, საჯარო მოხელეებს კი აღნიშნული სტატისტიკა უფრო დაბალ ნიშნულამდე დაჰყავთ (Bureau of Counterterrorism and Countering Violent Extremism, 2015). ამ დრომდე, საქართველოს 27 მოქალაქე უკვე გარდაიცვალა სირიასა და ერაყში, მათ შორის, აშშ-ს მიერ 2014 წელს 12 ყველაზე საშიშ და ძებნილ

ტერორისტთა სიაში შეყვანილი თარხან ბათირაშვილი, რომელიც ISIS-ის ერთ-ერთი საველე მეთაური იყო. (წულაძე, 2017)

სირია-ერაყის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისას საქართველოს 27 მოკლული მოქალაქიდან 22 პანკისელია. (ფაქტ-მეტრი. 2016) მებრძოლთა საშუალო ასაკი 25 წელია. ყველაზე ახალგაზრდა მსხვერპლი, 18 წლის ბესიკ კუშტანაშვილი გახლდათ, რომელიც 2014 წელს გარდაიცვალა, ხოლო ყველაზე ხნიერი 39 წლის უმარ მარგოშვილი (გარდაიცვალა 2016 წლის ივნისში). (წულაძე, 2017)

კვლევის ფარგლებში, ჩვენ ფოკუსი აღებული გვაქვს მხოლოდ პანკისის ხეობიდან წასულ მებრძოლებზე. ეს რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული: 1) ხეობიდან წასული მებრძოლების შესახებ ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობა; 2) შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა კვლევის ფარგლებში საქართველოს ყველა მუსლიმურ თემში ინტერვიუების ჩატარება და კვლევის განვითარება; 3) რაოდენობრივად, პანკისის ხეობიდან წასული მებრძოლები იძლევა განზოგადების შესაძლებლობას.

პანკისის ხეობა კახეთის რეგიონში, კერძოდ, ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდინარე ალაზნის ველზე მდებარეობს. იგი შემოფარგლულია კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ განშტოებებით. პანკისის დასავლეთით, თიანეთის ზეგანზე ძირითადად ხევსურები სახლობენ, ხოლო აღმოსავლეთით თუშეთის ქვაბულში კი - თუშები. (ფშეშლაკევიჩი, 2017)

ხეობის პირველი სოფელი მატანია, რომელიც ძირითადად მთიელი ქართველებით, ოსებითა და ფშაველებით არის დასახლებული. მატანის შემდეგ ეთნიკური ქართველებითა და ოსებით დასახლებული სოფლებია - ბახლოვერი, ქორეთი, საკობიანო, წინუბანი და ყვარელწყალი. ქისტური სოფლების დაწყებამდე გეოგრაფიულად გამყოფ სახასიათო ხიდს ვხვდებით, რომელიც მდინარე ალაზანზეა გადებული. ქისტებით დასახლებული პირველი სოფელია დუისი, რომელიც ასევე პანკისის ადმინისტრაციული ცენტრია.

დუისი, შეიძლება ითქვას, რომ ერთი გრძელი ქუჩის გარშემო განაშენიანებულ დასახლებას წარმოადგენს, რომლის გაგრძელებას სხვა ქისტურ სოფლებთან (ჯოყოლო, ბირკიანი და ჯიბახევი) მივყავართ. ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით ახმეტის მუნიციპალიტეტში ქართველები ჭარბობენ 35 სოფელში, ოსები - 13 სოფელში ხოლო ქისტები კი 8 სოფელში. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ახმეტის მუნიციპალიტეტში ეთნიკურად 5,700 ქისტი ცხოვრობს. (Civil Georgia, 2016) სამწუხაროდ, სტატისტიკა იმისა, თუ რამდენია აქედან ვაჰაბიზმის და ტრადიციული ისლამის მიმდევარი არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ადგილობრივებთან საუბრისას მათი აღქმაა, რომ ვაჰაბიტების რიცხვი იზრდება.

საქართველოს მოქალაქეთა გადაბირებისა და რადიკალიზაციის პროცესში რესპონდენტებთან საუბრისა და სხვადასხვა ლიტერატურის მოძიების შედეგად, რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება გამოიკვეთა:

- ახალგაზრდათა უმრავლესობა ისლამური სახელმწიფოს შესახებ ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით იღებდა. ორგანიზაციის მიერ ეფექტურად დაგეგმილმა კომუნიკაციამ და პროპაგანდამ საკუთარ მიზანს მიაღწია. ერთ-ერთი დაღუპული პირის დედა აღნიშნავდა, რომ მისი შვილი „ხშირად ატირებული უნახავს ტელეფონით ხელში, როდესაც უყურებდა თუ როგორ იხოცებოდნენ ბავშვები და ქალები“ სირიასა და ერაყში. ტერორისტული ორგანიზაცია ხშირ შემთხვევაში იყენებს პროპაგანდის ირაციონალურობისა და რაციონალურობის სინთეზს, როდესაც ის ინდივიდს (პოტენციურ თანამებრძოლს) ემოციებითა და გრძნობებით განმსჭვალული პათოსით მიმართავს და ამასთანავე გზავნილში მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ფაქტებს, მოტივებსა და ამოცანებს აჟღერებს, რაც მიმღებს გზავნილის რაციონალურობის ასპექტებშიც არწმუნებს. ეს უკანასკნელი საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში გაჯერებული იყო მოსაზრებით, რომ ყველაფერი რაც სირიასა და ერაყში დღეს ხდება არის დასავლეთის, მათი მხარდამჭერებისა და ისლამის მტრების ნამოქმედარი. შესაბამისად, ჭეშმარიტი მუსლიმის ვალია ამ ბრძოლაში „ჭეშმარიტების“

მხარეს ჩაერთოს. ISIS-ის წარმომადგენლები აქტიურად იყენებდნენ ვებ-რესურსებსაც. შექმნილი იყო ხალიფატის ქართულენოვანი საინფორმაციო ვებ-გვერდი (https://xalifati.wordpress.com/), რომელიც მოიცავდა ძალადობრივ მიმართვებს, ასევე სიახლეებს, ფოტო და ვიდეო მასალას. აღსანიშნავია, რომ ეს ვებ-გვერდი საკმაოდ დიდი ხანი არსებობდა სანამ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურები დაბლოკავდნენ მას. 2015 წლის 14 ივნისს, სუს-მა უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებისა და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებებით დააკავა 21 წლის გიორგი კუპრავა, რომელიც განსაკუთრებით აქტიური იყო სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა თუ ვებ გვერდებზე, რომლის განცხადებების შინაარსი ძირითადად ხალიფატის შექმნის პროპაგანდასა და პოპულარიზებას წარმოადგენდა. (გოგუაძე & კაპანაძე, 2015, გვ. 22)

საზოგადოებისთვის ასევე ცნობილია იმდროისათვის კონტრტერორისტული ცენტრის მეორე მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე დავით ნადიბაიძესა და გიორგი კუპრავას ერთსაათიანი ფარული ვიდეო ჩანაწერის შესახებ. ნადიბაიძის კითხვაზე, თუ რას აკეთებს ისლამური სახელმწიფო, კუპრავა პასუხობს, რომ „მოწყალებას არიგებს გაჭირვებულებზე, სახლებს აშენებს, გზებს აგებს, ოღონდ ბრძოლის მდგომარეობაში“. (კალანდია, 2015)

2015 წლის 14 ივნისს, სამართალდამცავმა ორგანოებმა ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით, ასევე, დააკავეს პანკისის ხეობის მკვიდრი, ყოფილი იმამი, აიუფ ბორჩაშვილი. მას ბრალად დაედო, სკოლის მოსწავლეების, 16 წლის მუსლიმ კუშტანაშვილის და 18 წლის რამზან ბაღაკაშვილის გადაბირებასა და სირიაში გაგზავნაში. საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე, ჯოყოლოს მკვიდრი, გიორგი ბორჩაშვილი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ „იგი (აიუფ ბორჩაშვილი) ასევე ყველას მოუწოდებდა, რომ ინტერნეტ საიტებზე გავცნობოდით სირიაში მიმდინარე მოვლენებს. კონკრეტულად კი სოციალურ ქსელ Facebook-ზე გვენახა

გვერდი „დოვლა“ და „სამხედრო მიმომხილველი სირია და ერაყი“. ასევე პროგრამა „ვოცაპში“ (Whatsup) იყო სპეციალური ჯგუფი შექმნილი, სადაც ვრცელდებოდა ვიდეო რგოლები. (მთივლიშვილი, 2015)

- საქართველოდან სირიამდე გზის გავლა, ჩვენი მოქალაქეებისთვის ძირითადად შუამავლების დახმარებით ხერხდებოდა. პირველი საკონტაქტო პირი საქართველოშივე იყო, ხოლო მეორე ძირითადად თურქეთში. ერთ-ერთი რესპონდენტი, თავად წავიდა სირიაში შვილის ჩამოსაყვანად (უშედეგოდ) და გაიარა ყველა ის „გამშვები პუნქტი“, რომელსაც ისლამური სახელმწიფოსკენ მივყავართ. რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ შვილებს არ ჰქონდათ საკმარისი თანხა, რომ თურქეთში საკუთარი სახსრებით ჩასულიყვნენ და მათ საჭირო რესურსების საქართველოშივე მიიღეს. თურქეთში ჩასვლის შემდეგ, საკონტაქტო პირები მებრძოლებს ქალაქ გაზიანტეპში ან სურუჩში უყრიდნენ თავს და სირიის საზღვრამდე აცილებდნენ, ხოლო საზღვრის მეორე მხარეს მათზე პასუხისმგებლობას ისლამური სახალიფოს წარმომადგენლები იღებდნენ.
- სირიასა და ერაყში მოხვედრა მსურველთათვის ნამდვილად არ არის დიდი სირთულე. ისლამურ სახალიფოში მოხვედრის მსურველები ხშირად მიმართავენ ინტერნეტ ფორუმებს იმ მიზნით, რომ დაუკავშირდნენ საჭირო პირებსა და გაიგონ ორგანიზაციაში მოხვედრის გზები. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოტენციური მებრძოლები ისლამურ სახალიფოში მოსახვედრად იყენებენ იმ მეთოდებსა და პროგრამებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. მაგალითად ვებ-გვერდს ASK.Fm-ს, სადაც უამრავი კითხვა ისმებოდა თუ როგორ მოვხვდეთ ორგანიზაციაში, ვის დავუკავშირდეთ და ა.შ. (Makuch, 2014)

- დაბრუნებული მეომრების სამოქალაქო რესოციალიზაცია და ინტეგრაცია რთული პროცესია, განსაკუთრებით ისეთ კომპაქტურ თემებში, რომლებშიც საქართველოში მცხოვრები მუსლიმები ცხოვრობენ. ევროპის დიდი

სახელმწიფოებისგან განსხვავებით, საიდანაც ასობით და ათასობით რეკრუტი მიემგზავრება სირიაში, საქართველოს შემთხვევა სპეციფიურია მუსულმანური კომუნების სიმცირის და შეკრულობის გამო. პანკისის ხეობის შემთხვევაში გეოგრაფიულად მჭიდროდ დასახლებული სოფლების მოსახლეობა, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან კარგად იცნობს ერთმანეთს და ერთ სოციალურ კომუნად არის ჩამოყალიბებული. აქედან გამომდინარე, პანკისის ხეობის ახალგაზრდებმა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, კარგად იციან სირიაში გამგზავრებული თითოეული თანატოლის შესახებ. საბრძოლველად წასული ახალგაზრდა, წარმატების მიღწევის შემთხვევაში მისაბაძი პიროვნება ხდება თავისი სამეგობრო წრისა და თანატოლებისათვის.

- კარგად შეფუთულმა იდეოლოგიამ დიდი როლი ითამაშა გადაბირებისა და რადიკალიზაციის პროცესში. ისლამური სახალიფოს იდეოლოგია ეფუძნება შემდეგ პოსტულატებს: 1) შარიათის კანონებზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობა; 2) ყველა ჭეშმარიტი მუსლიმის გაერთიანება; 3) ხალიფატის გაწმენდა ურწმუნოებისაგან; 4) დასავლეთისა და ისლამის მტრებისაგან გათავისუფლება. (Ross, Barr, & Moreng, 2016)

- რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ მათ შვილებსა და იმ ხალხს ვინც სირიასა და ერაყში წავიდა ეკონომიკურად ისე არ უჭირდათ, რომ შემოსავლის წყაროდ ომი აერჩიათ. არც მათ ოჯახებს უნახავთ რაიმე სახის ეკონომიკური სარგებელი. თუმცა, პროპაგანდისტულმა გზავნილმა, რომ იქ მებრძოლები კარგად ცხოვრობენ (მითები რომ თარხან ბათირაშვილი სასახლეში ცხოვრობდა თავის პირად დაცვასთან ერთად და ა.შ) შესაძლო გავლენა იქონია საქართველოს მოქალაქეთა გადაწყვეტილებაზე. ეკონომიკური პირობების შეფასების კუთხით ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ არათუ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ აგროვებს სტატისტიკას იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანი არის დასაქმებული, რა არის შემოსავლის საშუალო დონე და ძირითადი წყარო, არამედ მსგავსი

შინაარსის ინფორმაცია საქართველოს ეროვნულის სტატისტიკის სამსახურსაც არ გააჩნია. ეკონომიკური გარემოს შეფასებისათვის ერთადერთ წყაროდ ადგილობრივი მოსახლეობა შეიძლება მივიჩნიოთ.

ისლამური სახალიფო, საკუთარი პროპაგანდისტული გზავნილებისა და სტრატეგიის შემუშავების დროს ირიბად იყენებს ლასველის კომუნიკაციების მოდელს. ისინი აცნობიერებენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თუ რა სახის გზავნილი რა ფორმით უნდა მიაწოდონ საკუთარ აუდიტორიას. ორგანიზაციისთვის ნათელია, რომ თითოეულ გზავნილს შეუძლია სხვადასხვა სახის ეფექტის მოხდენა სამიზნე ჯგუფსა და ინდივიდებზე.

აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მიერ, მოსულის დიდ და გრანდიოზულ მეჩეთში საკუთარი თავის ხალიფად გამოცხადება და ხალიფატის შექმნის შესახებ განცხადება ნამდვილად იქნებოდა შთამბეჭდავი მუსლიმური სამყაროს წარმომადგენლებზე, თუმცა სრულიად არაეფექტური იქნებოდა არა მუსლიმების შემთხვევაში. ევროპის კონტინტენტის ან კიდევ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის სიკვდილით დასჯა არის გზავნილი როგორც დასავლეთისთვის, ასევე თანამოაზრეებისთვის რომ შემოუერთდნენ ორგანიზაციას წმინდა ომში.

ლასველის მიხედვით, ყველა სამიზნე ჯგუფს საკუთარი გზავნილი და კომუნიკაციის მეთოდი ესაჭიროება. საქართველოს შემთხვევაში, ისლამურმა სახალიფომ ჩვენ თანამოქალაქეებზე ეფექტური ზეგავლენის მოხდენა შეძლო გლობალურად გავრცელებული პროპაგანდით. ეფექტურად, ვიზუალურად და იდეოლოგიურად კარგად დამუშავებულმა გზავნილებმა, როგორებიცაა: შარიათის კანონებზე დაფუძნებულ ისლამურ სახელმწიფოში ცხოვრება ყველა ჭეშმარიტი მუსლიმისათვის შვების მომტანია; ჯიჰადში ჩართვა ყველასათვის სავალდებულოა; დასავლეთი და შიიტები ჭეშმარიტი ისლამის მტერია და ა.შ დიდი გავლენა მოახდინეს ჩვენი მოქალაქეების განწყობების ცვლილებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

პროპაგანდის როლი ევროკავშირის მოქალაქეთა გადაბირების პროცესში

ისლამურ სახალიფოში მონაწილე ევროკავშირის მოქალაქეთა ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. ევროპის პარლამენტის სამუშაო დოკუმენტებზე დაყრდნობით, 2015 წლისათვის ტერორისტულ ორგანიზაციაში ევროპის კავშირიდან 5,000-ზე მეტი ადამიანი წავიდა. თუ კი საქართველოს შემთხვევაში, რაოდენობა ცოტაა და უკან დაბრუნებულ მეომბრებს არ შეუძლიათ დიდი ზეგავლენა მოახდინონ ქვეყნის უსაფრთხოების გარემოზე, ევროკავშირის შემთხვევაში განსხვავებულ სურათს ვიღებთ. (Rachida Dati, 2015).

ევროპარლამენტის სამუშაო დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს რადიკალიზაციასა და გადაბირებასთან საბრძოლველად ეფექტური მექანიზმების შემუშავებას, დიდ ყურადღებას უთმობს ამ პროცესში ისლამურ სახალიფოსთან მიერ ინტერნეტისა და კომპლექსური პროპაგანდის გამოყენებას. რაჩიდა დატის მიხედვით, სოციალური მედია და ინტერნეტი არის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, რომლის გამოყენებითაც ორგანიზაცია ახდენს საკუთარი გეგმების, მოქმედებებისა და პროპაგანდისტული გზავნილების მიწოდებას ევროკავშირის მოქალაქეებამდე. ინტერნეტი და სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმები იქცა ინსტრუმენტად, რომელიც აძლევს საშუალებას ისლამურ სახალიფოს მოახდინოს გავლენა ახალგაზრდებზე ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში. (Rachida Dati, 2015, p. 3).

2015 წლის პარიზის ტერაქტების შემდეგ, ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოების პოლიტიკა კონტრ-ტერორიზმისა და რადიკალიზაციასთან ბრძოლის მიმართულებით პროაქტიური გახდა. იმავე წლის 12 თებერვლის ევროპული საბჭოს შეხვედრამ, ფაქტობრივად განსაზღვრა ის ძირითადი პოსტულატები, რომელსაც ეყრდნობა ევროკავშირის სტრატეგია მოქალაქეთა გადინებასა და დერადიკალიზაციასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი, ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ინტერნეტის ეფექტურად

გამოყენების შესაძლებობათა აღმოფხვრასა და ამ კუთხით აქტიური ძალისხმევის გატარებას ეხება. (European Council, 2015).

გადაბირების პროცესში პროპაგანდას კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ანიჭებს აშშ-ს კონგრესის კვლევითი სამსახურის მკვლევარები. გარდა იმისა, რომ ორგანიზაცია პროპაგანდის წარმოების პროცესში ახერხებს ახალი „სისხლის“ მიღებას სირიასა და ერაყში, ის ასევე ემსახურება ადგილობრივ დონეზე, რადიკალიზირებული ადამიანების მიერ გახშირებული ტერაქტების მოწყობას. ამ მხრივ, ისლამური სახალიფო ცდილობს მისი მოქმედებები უფრო მეტად ტოტალური და დაქსაქსული გახადოს. (Congressional Research Service, 2015, p. 6)

რეკომენდაციებში, რომელსაც კვლევითი სამსახური აწვდის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მთავრობის წარმომადგენლებს ერთ-ერთი მთავარი ადგილი რადიკალიზაციასათან და გადაბირებასთან ბრძოლაში ინტერნეტისა და სოციალური მედიის სფეროში ტერორისტულ ორგანიზაციის შესუსტებას უჭირავს. (Congressional Research Service, 2015)

ისლამური სახალიფო, ევროკავშირის ტერიტორიაზე ასევე ეფექტურად იყენებს „მარტოხელა მგლის“ ფენომენს. აღნიშნულ ტერმინოლოგიაში იგულისხმება ტერორიზმის განხორციელება ისეთი ტაქტიკით, რომლის დროსაც განმახორციელებელი მზად არის მანამდე მოკლას ადამიანები, ვიდრე თვითონ არ იქნება განეიტრალებული. (Jan & Reed, 2016). 2015 წლის პარიზისა და კოპენჰაგენის ტერაქტებიც სწორედ ასეთმა ტიპის ტერორისტებმა ჩაიდინეს იგივე იდეის ქვეშ, რისთვისაც ორგანიზაციის წევრები იბრძვიან სირიასა და ერაყში. (Higgins & Eddy, 2016).

ევროკავშირის მოქალაქეებისადმი ორგანიზაციის პროპაგანდის მთავარი გზავნილი და არხები შემდეგნაირად შეიძლება ფორმულირდეს:

- ის მუსლიმები, რომლებიც ევროკავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, იდენტურად არ ეკუთვნიან არცერთ ევროპულ ქვეყანას. მათი მთავარი ერთგულების ობიექტი მხოლოდ ხალიფატია. გადასახადების გადახდა,

არჩევნებში მონაწილეობა და ადგილობრივ სოციუმში ასიმილაცია დანაშაულია;

- ისლამური სახალიფო საკუთარი პროპაგანდის დაგეგმვისას აქტიურად იყენებს უცხოელ მებრძოლებს. კონკრეტულად ქმნის ერთგვარ მისაბაძ ფიგურებს, რომელთა სახითაც საუბრობს თუ რა კარგია ხალიფატში ცხოვრებდა რა მნიშვნელოვანია ყველა მუსლიმისათვის ჯიჰადში მონაწილეობის მიღება. იგივე შემთხვევად შეგვიძლია განვიხილოთ თარხან ბათირაშვილიც, რომლის პიროვნული გავლენისა და მიმბაძველობის გამო მრავალი ქისტი წავიდა სირიასა და ერაყში.
- ისლამური სახალიფოს მიერ გზავნილების გრაფიკულად დახვეწამ და მრავალი სოციალური ქსელის ინსტრუმენტალიზაციამ ხელი შეუწყო მისი საქმიანობის ფართო მასშტაბით დაფარვასა და ახალგაზრდებზე ზეგავლენის მოხდენის ალბათობის გაზრდას. (Gardner, 2016)

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მთავარი ამოცანა იყო დაედგინა, თუ რა გზებითა და მეთოდებით მოახერხა ისლამურმა სახალიფომ საქართველოს მოქალაქეთა რადიკალიზაცია და გადაბირება. კვლევის ფარგლებში გაჩნდა ჰიპოთეზა, რომ გადაბირებისა და რადიკალიზაციის პროცესში დიდი როლი ითამაშა ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ეფექტურად დაგეგმილმა პროპაგანდამ და სოციალური მედიის ინსტრუმენტების აქტიურად გამოყენებამ.

ნაშრომის მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, კვლევა დაეფუძნა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. სამაგიდე სამუშაოსა და ლიტერატურის ფართო ანალიზის გარდა, კვლევის ფარგლებში ჩატარდა საველე სამუშაოებიც. ავტორმა ჩაატარა 4 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ პირველ წყაროებთან პანკისის ხეობაში, იმ ადამიანების ოჯახის წევრებთან, ვინც დატოვა საქართველო და ჩაერთო ისლამური სახალიფოს რიგებში სირიასა თუ ერაყში. ორი

რესპონდენტის შვილი გარდაიცვალა სირიაში, ხოლო ორის კი ცოცხალია. პირისპირ ინტერვიუ გაიმართა საქართველოს სპეციალური დანიშნულების სამსახურის წარმომადგენლებთან, რომელთაც არ ისურვეს დოკუმენტში საკუთარი თავის იდენტიფიცირება. ასევე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, ბატონ ნიკოლოზ ჯანჯღავასთან. საჯარო და სპეცსამსახურებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა საშუალება მისცა მკვლევარს, უფრო ფართოდ დაენახა საკითხი და მიეღო ისეთი სახის ინფორმაცია, რასაც სხვა შემთხვევებში, ღია წყაროებზე დაყრდნობით ვერ მიიღებდა. კვლევის ფარგლებში, ასევე გამოვიყენეთ დისკურს და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

ნაშრომის თეორიული ფორმულირებისათვის, გამოვიყენეთ ჰაროლდ ლასველის კომუნიკაციების მოდელი. რომელიც ცდილობს ახსნას ის პროცესი, თუ როგორ და რა გზებით ახდენს გავლენას პროპაგანდა და კარგად შემუშავებული გზავნილი ადამიანზე. საქართველოს შემთხვევაში, ისლამურმა სახალიფომ ჩვენ თანამოქალაქეებზე ეფექტური ზეგავლენის მოხდენა შეძლო გლობალურად გავრცელებული პროპაგანდით. ეფექტურად, ვიზუალურად და იდეოლოგიურად კარგად დამუშავებულმა გზავნილებმა, როგორებიცაა: შარიათის კანონებზე დაფუძნებულ ისლამურ სახელმწიფოში ცხოვრება ყველა ჭეშმარიტი მუსლიმისათვის შვების მომტანია; ჯიჰადში ჩართვა ყველასათვის სავალდებულოა; დასავლეთი და შიიტები ჭეშმარიტი ისლამის მტერია და ა.შ დიდი გავლენა მოახდინეს ჩვენი მოქალაქეების განწყობების ცვლილებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

კვლევის ძირითადი ნაწილი, ასევე, დაეთმო იმ გარემოსა და ისტორიული კონტექსტის გაანალიზებას, რომლის ფარგლებშიც ისლამურმა სახალიფომ მოახერხა საკუთარი პროპაგანდის ჩამოყალიბება და განვითარება. კვლევის ფარგლებში, დავადგინეთ, თუ რა პრინციპული განსხვავებებია გლობალური პროპაგანდისტული სტრატეგიის დაგეგმვის პროცესში აღნიშნულ ორგანიაციასა და სხვა დიდი ტერორისტულ ჯგუფებს (ალ-კაიდას) შორის.

ნაშრომში ვრცლად მიმოვიხილეთ ლიტერატურა ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო, რომელიც წამოიჭრა ჰიპოთეზაში.

კვლევის დასკვნით ნაწილში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენციები, მათ შორის ის, რომ პანკისელი ახალგაზრდების უმრავლესობა ისლამური სახელმწიფოს შესახებ ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით იღებდნენ. მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგადაც დადასტურდა, რომ მათი შვილების რადიკალიზაციის პლატფორმა სოციალური მედია და ინტერნეტი იყო. მსგავს ვითარებასა და პროპაგანდისტულ გავლენას შევხდით ევროკავშირის მოქალაქეთა გადაბირების პროცესშიც.

დასკვნისთვის, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოქალაქეთა გადაბირების ახალი შემთხვევები არ ფიქსირდება. რაც ძირითადად ისლამური სახალიფოს დასუსტებით შეიძლება ავხსნათ. გარდა ამისა, დღეისათვის, საქართველოში ტერორიზმი, როგორც კვლევითი მიმართულება არ არის ისეთივე მაღალ საფეხურზე, როგორც სხვა ჩვენი პარტნიორი ქვეყნების შემთხვევაში. ასევე სახელმწიფო დონეზეც არ გვაქვს ერთი სტრატეგიული დოკუმენტიც კი სადაც ტერორიზმი, როგორც საფრთხე ფართოდ არის გაშლილი და წარმოდგენილია რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის გზები. ამ მხრივ, ნაშრომი იყო მცდელობა გაეანალიზებინა ჩვენი მოქალაქეების რადიკალიზაციისა და გადაბირების მიზეზები, განსხვავებული ფოკუსითა და სიღრმისეული საველე სამუშაობით.

დოკუმენტი, დაეხმარება აღნიშნული სფეროთი დაინტერესებულ პირებს განავრცონ, განსხვავებულ ჭრილში დაინახონ და ახალი პარამეტრებით გაამდიდრონ წინამდებარე კვლევა.

ბიბლიოგრაფია

Bardaji, R. L. (2015). *The Roots of The Islamic State.* Foundation for Social Studies and Analysis. მოპოვებული http://www.fundacionfaes.org/file_upload/publication/pdf/20160218193151the_roots_of_the_islamic_state.pdf-დან

Bremmer, I. (2017). *The Top 5 Countries Where ISIS Gets Its Foreign Recruits.* Time. მოპოვებული http://time.com/4739488/isis-iraq-syria-tunisia-saudi-arabia-russia/-დან

Bureau of Counterterrorism and Countering Violent Extremism. (2015). *Country Reports: Europe Overview.* Washington: U.S Department of State. მოპოვებული https://www.state.gov/j/ct/rls/crt/2015/257516.htm-დან

Center for the Analysis of Terrorism. (2016). *ISIS Financing.* Center for the Analysis of Terrorism. მოპოვებული http://cat-int.org/wp-content/uploads/2016/06/ISIS-Financing-2015-Report.pdf-დან

Civil Georgia. (2016). *„საქსტატი“ მოსახლეობის 2014 წლის აღწერის საბოლოო შედეგებს აქვეყნებს.* თბილისი: Civil Georgia. მოპოვებული http://civil.ge/geo/article.php?id=30282-დან

CNN Wire Staff. (2010 წლის 25 აპრილი). Al Qaeda confirms death of 2 top leaders. მოპოვებული http://edition.cnn.com/2010/WORLD/meast/04/25/iraq.militant.leaders.killed/index.html-დან

Congressional Research Service. (2015). *European Fighters in Syria and Iraq: Assessment, Responses and Issues for the United States.* Washington: Congressional Research Service. მოპოვებული https://fas.org/sgp/crs/row/R44003.pdf-დან

Crilly, R. (2016 წლის 14 მარტი). US officials confirm death of Islamic State 'minister of war'. New York. მოპოვებული http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/islamic-state/12194108/US-officials-confirm-death-of-Islamic-State-minister-of-war.html-დან

Doob, L. (1935). *Propaganda: Its Psychology and Technique.* New York: Henry Holt and Company.

Ellul, J. (1973). *Propaganda: The Formation of Men's Attitudes.* New Yourk: Vintage Books. მოპოვებული https://www.ratical.org/ratville/AoS/Propaganda.pdf-დან

Eur-Lex. (2015 წლის 2 May). *Access to European Union law*. მოპოვებული eur-lex.europa.eu: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3Al33168-დან

European Council. (2015 წლის 12 February). *European Council.* მოპოვებული European Council: http://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2015/02/150212-european-council-statement-fight-against-terrorism/-დან

Federal Bureau of Investigation. (2005). *Terrorism 2002/2005.* Washington: U.S. Department of Justice. მოპოვებული https://www.fbi.gov/stats-services/publications/terrorism-2002-2005-დან

Fellman, Z. (2015). *The Future of Foreign Fighters.* Washington: Center for Strategic and International Studies. მოპოვებული http://foreignfighters.csis.org/fallout_foreign_fighter_project.pdf-დან

Gardner, F. (2016 წლის 8 მარტი). Islamic State: What is the attraction for young Europeans? London: BBC News. მოპოვებული http://www.bbc.com/news/world-middle-east-35706764#-დან

Gerstman, D. (2013). *Margaret Thatcher and the "oxygen of publicity".* Legal Insurection. მოპოვებული http://legalinsurrection.com/2013/04/margaret-thatcher-and-the-oxygen-of-publicity/-დან

Higgins, A., & Eddy, M. (2016 წლის 16 თებერვალი). Anger of Suspect in Danish Killing Is Seen as Only Loosely Tied to Islam,. New York Times.

Hoffman, B. (2006). *The Use of the Internet By Islamic Extremists.* Washington: Rand Corporation. მოპოვებული http://www.rand.org/content/dam/rand/pubs/testimonies/2006/RAND_CT262-1.pdf-დან

Jan , L., & Reed, A. (2016). *Understanding Lone Wolves: Towards a Theoretical Framework for Comparative Analysis.* Hague: International Center for Counter Terrorism. მოპოვებული https://www.icct.nl/wp-content/uploads/2016/05/ICCT-Leenars-Reed-Understanding-Lone-Wolves-April-2016.pdf-დან

Jenkins, B. M. (2012). The New Age of Terrorism. *RAND Corporation*. მოპოვებული http://www.rand.org/content/dam/rand/pubs/reprints/2006/RAND_RP1215.pdf-დან

Johnson, D. (2008 წლის 12 აგვისტო). 2007 in Iraq: The Surge and Benchmarks- A New Way Forward? Washington, USA. მოპოვებული https://www.wcl.american.edu/journal/ilr/24/documents/Johnson.pdf-დან

Kirk. (2016). *Iraq and Syria: How many foreign fighters are fighting for Isil?* London: Telegraph. მოპოვებული http://www.telegraph.co.uk/news/2016/03/29/iraq-and-syria-how-many-foreign-fighters-are-fighting-for-isil/-დან

Kumar, C. (2015). Islamic State of Iraq and Syria (ISIS) a Global Threat: International Strategy to Counter the Threat. *Journal of Social Sciences and Humanities*, 345-353.

Lister, C. (2014). *Profling the Islamic State.* Doha: Brookings Doha Center. მოპოვებული https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2014/12/en_web_lister.pdf-დან

Lister, C. (2016). *Profiling Jabhat Al-Nusra.* Washington: The Brookings Project on U.S. Relations with the Islamic World. მოპოვებული https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/07/iwr_20160728_profiling_nusra.pdf-დან

Lister, C. R. (2015). *The Syrian Jihad: Al-Qaeda, the Islamic State and the Evolution of an Insurgency.* New York: Oxford University Press.

Makuch. (2014). *Ask.fm is the Perfect Place to Meet Jihadists in Syria.* Motherboard. მოპოვებული https://motherboard.vice.com/en_us/article/4x3xb9/want-to-chat-with-a-western-jihadist-try-askfm-დან

McCauley, C., & Moskalenko, S. (2017). Understanding Political Radicalization: The Two-Pyramids Model. *American Psychologist*, 205–216. მოპოვებული https://www.apa.org/pubs/journals/releases/amp-amp0000062.pdf-დან

Muir, W. (1915). *The Caliphate: Its Rise, Decline and Fall.* Glasgow: The University of Glasgow. მოპოვებული http://searchformecca.com/downloads/The%20Chaliphate.pdf-დან

Nance, M. W. (2014). The Terrorists of Iraq. M. W. Nance-ში, *The Terrorists of Iraq: Inside the Strategy and Tactics of the Iraq Insurgency 2003-2014, Second Edition* (გვ. 1-50). CRC Press.

Orton, K. (2016). *Profles of Islamic State Leaders.* Center for the Response to Radicalization and Terrorism. London: The Henry Jackson Society. მოპოვებული http://henryjacksonsociety.org/wp-content/uploads/2016/07/IS-leaders-report.pdf-დან

Rachida Dati. (2015). *Prevention of Radicalisation and Recruitment of EU Citizens by Terrorist Organizations.* European Parliament, Committee on Civil Liberties, Justice and Home Affairs. European Parliament. Retrieved from http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-%2F%2FEP%2F%2FNONSGML%2BCOMPARL%2BPE-551.968%2B01%2BDOC%2BPDF%2BV0%2F%2FEN

Ross, D., Barr, N., & Moreng, B. (2016). *The Islamic State's Global Propaganda Strategy.* Hague: International Centre for Counter-Terrorism. მოპოვებული https://www.icct.nl/wp-content/uploads/2016/03/ICCT-Gartenstein-Ross-IS-Global-Propaganda-Strategy-March2016.pdf-დან

Schmid, A. (2004). Terrorism - The Definitional Problem. *Case Western Reserve Journal of International Law*. მოპოვებული https://pdfs.semanticscholar.org/edd8/52c5ea90442946728c59e584fd2640d8e5c9.pdf-დან

Schmid, A. P. (2015). *Foreign (Terrorist) Fighter Estimates:Conceptual and Data Issues.* Hague: International Centre for Counter-Terrorism. მოპოვებული https://www.icct.nl/wp-content/uploads/2015/10/ICCT-Schmid-Foreign-Terrorist-Fighter-Estimates-Conceptual-and-Data-Issues-October20152.pdf-დან

Simon, S. N. (2007). *After the Surge : The Case for U.S. Military Disengagement from Iraq.* Council on Foreign Relations. მოპოვებული https://www.cfr.org/content/publications/attachments/IraqCSR23.pdf-დან

Steinberg, S. (2007). *An Introduction to Communication Studies.* Cape Town, South Africa: Juta&CO.

Stern, J., & Berger. (2015). *ISIS: The State of Terror.* London: Harper Collins.

Torres, M., Jordan, J., & Horsburgh, N. (2006). Analysis and Evolution of the Global Jihadist Movement Propaganda. *Terrorism and Political Violence*, 399-421. მოპოვებული http://hera.ugr.es/doi/16517003.pdf-დან

Weimann, G. (2004). *How Modern Terrorism Uses the Internet.* New York: United States Institute of Peace. მოპოვებული https://www.usip.org/sites/default/files/sr116.pdf-დან

Weiss, M., & Hassan, H. (2015). *ISIS: Inside the Army of Terror.* New York: Regan Arts.

White, J. R. (2016). *Terrorism & Homeland Security* (ხმა VII). Belmont: Wadsworth.

Williams, L. (2016). *Islamic State Propaganda and the Mainstream Media.* Lowy Institute for International Policy. მოპოვებული https://www.files.ethz.ch/isn/196198/islamic-state-propaganda-western-media_0.pdf-დან

გოგუაძე, გ., & კაპანაძე, ს. (2015). *დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები.* თბილის: საქართველოს რეფორმების ასოციაცია. მოპოვებული http://grass.org.ge/wp-content/uploads/2015/11/daesh-da-skhva-gamotsvevebi.pdf-დან

მთივლიშვილი, გ. (2015). *რა შესაძლო კავშირი აქვს შსს–ს პანკისიდან სირიაში სკოლის მოსწავლეების გაგზავნასთან.* თელავი: კახეთის საინფორმაციო ცენტრი. მოპოვებული http://www.ick.ge/articles/22740-i.html-დან

რეხვიაშვილი, ა. (2016). დისკურსის ანალიზი. თბილისი: ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. მოპოვებული http://www.dictionary.css.ge/content/discourse-analysis-დან

სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. (2008). *პროპაგანდა.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. მოპოვებული http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5967-დან

სახალიფო, ი. (რეჟისორი). (2013). *ვიდეოში აღწერილია თუ როგორ ისვენებენ ჯიჰადისტები ყოველი ბრძოლის შემდეგ* [მოძრავი სურათი]. მოპოვებული https://www.youtube.com/watch?v=43yd-vtraNE-დან

სიხარულიძე, ურუშაძე, ხმალაძე, & ჭიჭინაძე. (2016). ისლამი საქართველოში: პოლიტიკა და ინტეგრაცია. თბილისი, საქართველო. მოპოვებული http://caucasianhouse.ge/wp-content/uploads/2017/05/Islam-GE-web-2.pdf-დან

ფშეშლაკევიჩი, პ. (2017). *პანკისი.* მოპოვებული Pankisi. org: http://www.pankisi.org/cgi-bin/blosxom.cgi/georgian/history_geo-დან

წულაძე, ზ. (2017). *ISIS: დუისელი მუჰმად ბაღაკაშვილი - 27-ე მსხვერპლი.* თბილისი: ამერიკის ხმა. მოპოვებული https://www.amerikiskhma.com/a/georgian-islamist-militant-killed-in-iraq/3890298.html-დან

საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. (2008). *რელიგიები საქართველოში.* თბილისი. მოპოვებული http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1/Religiebi_Saqartveloshi.pdf -დან

Annex.1

Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

Giorgi Goguadze

Radicalization and Recruitment Ways of Georgian Citizens by Islamic Caliphate

Faculty of Social and Political Sciences

Diplomacy and International Politics

The Thesis is proposed to Earn MA degree in Diplomacy and International Politics

Supervisor: Nikoloz Samkharadze

Assistant-Professor

Tbilisi

2017